ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და ღლეხთა მთავრობისა.

1930 წლის ოქტომბრის 20.	№ 19 ვანყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 203. 1930 წლის საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებისათვის ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული დაარემორების ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ.

„ 204. მუშათა და ღლეხთა წითელი არმიის სამხედრო-მსახურთა, სამხედრო-ვალდებულთა და მათ ოჯახთა შედავათების კოდექსის შესაბამისად—მუშათა და ღლეხთა წითელი არმიის სამხედრო-მსახურთა, სამხედრო-ვალდებულთა და მათ ოჯახთა, აგრეთვე მუშათა და ღლეხთა წითელი არმიის სამსახურიდან დათხოვნილთა უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის ადმინისტრატიული და სასამართლო წესით დაცვის განხორციელების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

„ 205. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 34^{17} და 34^{38} მუხლების შეცვლის შესახებ.

„ 206. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისათვის სათვეზე მეურნეობის გამგებლობის ფუნქციების გადაცემის შესახებ.

„ 207. ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადასვლის დროს სპეციალისტების დაქირავების წესის შესახებ.

„ 208. ა/კსფსრ-ში საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემოღების შესახებ

„ 209. ა/კსფსრ-ში საფიზკულტურო მუშაობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

„ 210. „ა/კსფსრ-ში ოლქების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით რაიონების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1930 წლის აგვისტოს 28-ის დადგენილების დამატების შესახებ.

„ 211. მუშათა და ღლეხთა ინსპექციის ადგილობრივი ორგანოების მომუშავეთა შტატებისა და ჯამაგირის განაკვეთების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 212. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო ბიუროს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სასტანდარტიზაციო კომიტეტად გადარქმევის შესახებ.

„ 213. „ბამბის მოკრეფის კამპანიის ჩატარების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 28-ის დადგენილების 23 მუხლის შეცვლისა და თვით დადგენილების დამატების შესახებ.

„ 214. სამეფერნეო ანგარიშის პრინციპებზე მომქმედ სახელმწიფო ორგანებისა და კოოპერაციის საადმინისტრაციო-სამმართველობო ხარჯების მოწესრიგების შესახებ.

„ 215. ა/კსფსრ საბჭოთა ორგანოების მუშაობის დისციპლინის შესახებ.

„ 216. ა/კსფსრ-ში ხრალეული საქმოვი კულტურების მაქსიმალური გაშენებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

„ 217. 1930 წლის მოსავლის ბამბის რეალიზაციის უზრუნველმყოფ დამატებითს ღონისძიებათა შესახებ.

„ 218. ა/კსფსრ-ში ხე-ტყისა და შეშის დამზადების გეგმის შესრულების შესახებ.

„ 219. ა/კსფსრ-ში საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩასატარებლად დანიშნული განსაკუთრებული რწმუნებულის მოადგილის დანიშვნის შესახებ.

„ 220. საწარმოთა და დაწესებულებათა შეუწყვეტელ წარმოებაზე გადასაყვანად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსებული მთავრობის კომისიის გაუქმების შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

203. 1930 წლის საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებისათვის ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული დაპრემირების ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნეს „დებულება 1930 წლის საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებისათვის ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული დაპრემირების ფონდის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ოქტომბრის 8.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1930 წლის საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებისათვის ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული დაპრემირების ფონდის შესახებ.

1. 1930 წლის საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებისათვის ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული დაპრემირების ფონდი შეიქმნება ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 13-ის დადგენილების თანახმად ამერიკავკასიის იმ სახელმწიფო, კოოპერატიული და სამეურნეო ორგანიზაციების სახსარიდან გადადებული მიზნობრივი ანარიცხებისაგან, რომლებიც სოფლის მეურნეობასთან არიან დაკავშირებულნი:

1.	ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი .	1.000 მან.
2.	ამერკავკასიის სას.-სამეურნეო კოოპ. ამხანაგობათა კავშირი	2.000 „
3.	ამერკავკასიის კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრი	1.000 „
4.	საწარმოო საშუალებებით სოფლის მეურნეობის მომმარაგებელი ამერკავკასიის შერეული სააქციო საზოგადოება	5.000 „
5.	ტრაქტორცენტრის ამერკავკასიის განყოფილება .	3.000 „
6.	ამერკავკასიის სამომხმარებლო კოოპ. ამხანაგობათა კავშირი	5.000 „
7.	ამერკავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო საზ.	20.000 „
8.	ამერკავკასიის ბალ-ბოსტანის სააქციო საზ. . . .	5.000 „
9.	„სოიუზხლებ"-ი	20.000 „
10.	„სოიუზმიასო"	6.000 „
11.	ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის ა/კ. განყოფილება	12.000 „
12.	მთავარი სამებამბეო კ-ტის ამერკავკასიის განყოფ.	40.000 „
13.	სააქციო საზოგადოება „მატყული"	2.000 „
14.	„ „ „მესაქონლეობა"	2.000 „
15.	„ „ „მეცხვარეობა"	2.000 „
16.	ამერკავკასიის საკონსერვო ტრესტი	1.000 „
17.	„სოიუზრასმასლო"	12.000 „
18.	სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ-საკოლმეურნეო ბანკის ამერკავკასიის კონტორა	25.000 „
19.	მეაბრეშუმეობის ტრესტი	10.000 „
20.	„ლეკტეხსირიო"	6.000 „
21.	სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი" . . .	30.000 „
	ჯამი . . .	210.00 მან.

2. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელობის პრემიებად ითვლება:

ა) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელობის გარდამავალი დროშა;

ბ) სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლება ან სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე შეღავათის მიცემა;

გ) შეღავათიანი დაკრედიტება;

დ) რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

ზემოაღნიშნული ფონდის დანიშნულებაა—პრემიის სახით გასაცემი რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეძენა.

3. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული ფონდის ხარჯზე ა/კსფსრ-ში რთული მანქანებით დაპრემირებულ უნდა იქნეს: 25 რაიონი, 11 დიდი საბჭოთა მეურნეობა, 25 კოლექტიური მეურნეობა და 2 სამანქანო-სატრაქტორო სადგური; ეს პრემიები ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებს შორის განაწილდება შემდეგნაირად:

რესპუბლიკები	რაიონები	დიდრონი საბჭ. მეურნ.	დიდრონი კოლექ. მეურნ.	სამანქანო-სატრაქ. სადგურები
აზერბაიჯანის სსრ . .	10	4	9	2 საუკეთესო სამანქანო-სატრაქტორო სადგური იმ 6-დან, რაც ა/კსფსრ-შია.
სომხეთის სსრ	5	2	5	
საქართველოს სსრ . .	10	5	12	

საშუალო ღირებულება სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა, რაც ერთ პრემიას შედგენს, განისაზღვრის: რაიონებისათვის—4.500 მან., საბჭოთა მეურნეობებისათვის—3.000 მან., კოლექტიური მეურნეობებისათვის—2.000 მან. და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის—5.000 მან.

4. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელობის გარდამავალი დროშა, რაც უმაღლესი ფორმის ჯილდოა, მიეცემა რაიონს, დიდ საბჭოთა მეურნეობას, კოლექტიურ მეურნეობას ან სამანქანო-სატრაქტორო სადგურს მაქსიმალურ მიღწევათათვის საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მომზადებისა და შესრულების საქმეში.

5. დაპრემირება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებით ან სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე შეღავათის მიცემით და აგრეთვე შეღავათიანი დაკრედიტებით ვრცელდება იმ რაიონებზე, საბჭოთა მეურნეობებზე, კოლექტიურ მეურნეობებზე და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე, რომელთაც ექნებათ უწყებული მიღწევანი სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მომზადებისა და შესრულების საქმეში, რაც მე-4 მუხლში აღნიშნულ დაპრემირების ფორმას არ უდგება.

6. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული პრემიალური კომისიები, სათანადო რესპუბლიკანური დაწესებულებების მეშვეობით, მოაწყობენ სოციალისტურ შეჯიბრებას რაიონებსა, დიდრონ საბჭოთა მეურნეობებსა, კოლექტიურ მეურნეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს შორის ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული დაპრემირების ფონდიდან პრემიების მიღების მიზნით.

7. საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მომზადებისა და შესრულების სფეროში მომხდარი შეჯიბრების შედეგებს რესპუბლიკური დაპრემირების კომისიები წარუდგენენ დასამტკიცებლად ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს.

8. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მასალის საფუძველზე, შეადგენენ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული ფონდიდან დასაპრემირებელი რაიონებისა, დიდრონ საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიური მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სიებს, რომლებშიაც აღნიშნავენ პრემიის სახეს, ხოლო რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანებით დაპრემირებისათვის ზედმიწევნით დაასახელებენ იმ რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, რაც უნდა გაიცეს ა/კსფსრ-ში 1930-31 წლისთვის შემოზიდული კონტინგენტიდან; აღნიშნავენ აგრეთვე ამ მანქანების ღირებულებას.

9. აღნიშნული სიები, დაწვრილებითი განმარტებით და მასალით, რაც უნდა აშუქებდეს სოციალისტური შეჯიბრების მსელელობას და შედეგებს, წარედგინება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებულ პრემიალურ კომისიას განსახილველად და პრემიების გადასაწყვეტად.

10. დაპრემირების შედეგები ფართოდ უნდა იქნეს გამოქვეყნებული როგორც საამიერკავკასიო, ისე ნაციონალურ პრესაში.

---

204. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო-მსახურთა, სამხედრო-ვალდებულთა და მათ ოჯახთა შეღავათების კოდექსის შესაბამისად—მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო-მსახურთა, სამხედრო-ვალდებულთა და მათ ოჯახთა, აგრეთვე მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამსახურიდან სრულიად დათხოვნილთა უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის ადმინისტრატიული და სასამართლო წესით დაცვის განხორციელების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო ინსტრუქცია მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო-მსახურთა, სამხედრო-ვალდებულთა და მათ ოჯახთა შეღავათების კოდექსის შესაბამისად—მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო-მსახურთა, სამხედრო-ვალდებულთა და მათ ოჯახთა, აგრეთვე მუშათა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხთა წითელი არმიის სამსახურიდან სრულიად დათხოვნილთა უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის ადმინისტრატიული და სასამართლო წესით დაცვის განხორციელების შესახებ.

II. გაუქმებულ იქნეს:

ა) ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის დეკემბრის 14-ის დადგენილება „წითელარმიელთა და მათ ოჯახთა უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის დაცვის განხორციელების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-12 №-ი, მუხ. 565);

ბ) ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წლის ოქტომბრის 10-ის დადგენილება „წითელარმიელთა და მათ ოჯახთა უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის დაცვის განხორციელების ინსტრუქციის დამატების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-19 №-ი, მუხ. 217).

ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ოქტომბრის 8.
ტფილისი-სასახლე.

ინსტრუქცია

მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო-მსახურთა, სამხედრო-ვალდებულთა და მათ ოჯახთა შეღავათების კოდექსის შესაბამისად — მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო-მსახურთა, სამხედრო ვალდებულთა და მათ ოჯახთა, აგრეთვე მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამსახურიდან სრულიად დათხოვნილთა უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის ადმინისტრატიული და სასამართლო წესით დაცვის განხორციელების შესახებ.

(სსრკ-ის კან. კრ. 1930 წ. 23 №-ი, მუხ. 252 და 253).

თავი I. ზოგადი დებულებანი.

1. სახელმწიფო ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ იმ, მათთან წარმოებულ, საქმეებს, რაც სამხედრო-მსახურთა და მათ ოჯახთა ინტერესებს ეხება, რადგანაც სამხედრო-მსახურნი, თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის ხასიათის გამო, ყველაზე უფრო მეტად მოწყვეტილნი არიან თავიანთ პირად საქმეს.

2. სამხედრო-მსახურად იგულისხმება ყველა ის პირი, რომელიც ნამდვილ სამხედრო სამსახურშია მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ნაწილსა, სამართველოს და დაწესებულებაში, სახელდობრ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მერიგეთა შედგენილობა;

ბ) თავმდგომთა შედგენილობა (უმცროსი, საშუალო, უფროსი და უმაღლესი), რომელიც განიყოფება შემდეგ შედგენილობებად: საკომანდო (მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კომანდირები), საადმინისტრაციო, პოლიტიკური (საკომანდო-საპოლიტიკო, პოლიტიკურ განმანათლებელი და იურიდიულ-პოლიტიკური), სამედიცინო, საველერინარო;

გ) რეზერვში მყოფი პირნი;

დ) სამხედრო-საწარმოო სამსახურის გამელელნი პირნი;

ე) თავმდგომთა სათადარიგო შედგენილობის პირნი.

შენიშვნა 1. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო-მსახურთ ეკუთვნიან აგრეთვე სსრკ-ის გაერთიანებული პოლიტიკური სამმართველოს ჯარებისა და საბადრაგო დაცვის ჯარების სამხედრო მსახურნი.

შენიშვნა 2. შეღავათების კოდექსის მოქმედება არა ვრცელდება სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის დაწესებულებების ნებისად დაქირავებულ მოსამსახურეებზე და თავმდგომთა სათადარიგო შედგენილობის პირებზე ერთი წლის შემდეგ დღიდან სამსახურიდან დათხოვნისა.

3. უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის დაცვა, იმავე საფუძვლებზე, ვრცელდება დედობრივი სქესის პირებზე, რომელნიც, თავიანთი თანამდებობის მიხედვით, შეესაბამებიან ერთ-ერთ ჩამოთვლილ შედგენილობას; ვრცელდება აგრეთვე მათ ოჯახებზე.

4. სამხედრო-მსახურთა და მათ ოჯახთა უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობა დაცულ უნდა იქნეს ყველა იმ შემთხვევაში, გამოუკლებლივ, როდესაც დარღვეულია მათი უფლება და ინტერესი.

5. შეღავათების უფლების მქონე პირთ, მათი თხოვნისამებრ, სამხედრო ნაწილები და ადგილობრივი სამხედრო მმართველობის ორგანიები მისცემენ მოწმობებს იმ ფორმით, რასაც დაადგენს სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატი.

მოწმობების გაცემა შეუძლიანთ აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო, საქალაქო და დასახლებულობათა საბჭოებს, უკეთუ მათ აქვთ ასეთი მოწმობების გასაცემად სიჭირო ცნობები.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი და სასოფლო საბჭო, ხოლო ქალაქში და მუშათა დასახლებულობაში—მილიცია მოვალეა უუასოდ შეამოწმოს ასეთი მოწმობების ასლები.

უკეთუ შეღავათი შეიძლება გაიცეს ქონებული ცნობების თანახმად, იგი მიიცემა აღნიშნული მოწმობების წარუდგენლადაც.

თავი II. სამხედრო-მსახურთა და მათ ოჯახთა უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის დაცვა ადმინისტრატიული წესით.

6. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც დარღვეულია სამხედრო მსახურისა და მისი ოჯახის კანონიერი ინტერესი, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი და აგრეთვე სასოფლო, საქალაქო და დასახლებულობის საბჭო მოვალეა იზმაროს სა-

ჰირო ღონისძიება ამ პირის ინტერესების დასაცავად, თავისი საკუთარი თაოსნობით ან დაინტერესებული პირის თხოვნით და სათანადოდ წარმართოს საქმე სამი დღის ვადაზე, ან გადასწყვიტოს იგი თავისი კომპეტენციის ფარგლებში შვიდი დღის ვადაზე.

7. სამხედრო-მსახურისა და მისი ოჯახის საქმის განხილვის დროს სათანადო ორგანო მოვალეა არ შემოზღუდოს განხილვა მარტო წარდგენილი მასალით და მიიღოს თავისი მხრით ღონისძიება საქმის ყველა გარემოების გამოსარკვევად, ხოლო, საქმის დამთავრებისას, აცნობოს დაინტერესებულ პირთ საქმის შედეგი.

8. უკეთუ სამხედრო-მსახურის ოჯახში მოხდა სხვადასხვა ინტერესების მიხლა-მოხლა, იმ ორგანომ, რომელიც მონაწილეობას იღებს ამის გადაწყვეტაში, აუცილებლად ყურადღება უნდა მიაქციოს იქ არმყოფნი პირისა და მცირეწლოვანის ინტერესების დაცვას.

9. რათა სამხედრო-მსახურებმა და მათმა ოჯახებმა სავსებით ისარგებლონ შეღავათები, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები მოვალენი არიან იხმარონ ყოველი, მაოზე დამოკიდებული, ღონისძიება ყველა ქვემდებარე ორგანოსათვის შეღავათების კოდექსისა და მისი შესაბამი კანონების გასაცნობად. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები არ უნდა დაკმაყოფილდნენ ადგილებისათვის მარტო კანონების ტექსტის დაგზავნით, არამედ, ამა თუ იმ ადგილობრივი პირობების მიხედვით, უნდა მისცენ ადგილებს დირექტივები შეღავათების კოდექსის სრული შესაბამისობით და თვალყური ადევნონ ამ დირექტივების განხორციელებას; თანაც არც ერთი შემთხვევა კოდექსის ნორმებისმგან გადახვევისა, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო, არ უნდა დასტოონ სათანადო ბრალდების აღუძვრელად დამნაშავეთა წინააღმდეგ.

იგივე აღმასრულებელი კომიტეტები მოვალენი არიან იხმარონ ღონისძიება სამხედრო-მსახურთათვის და მათ ოჯახთათვის შეღავათების გასაცნობად, რისთვისაც უნდა მოაწყონ მათი აღნუსხვა და იურიდიული დახმარება.

თავი III. სამხედრო-მსახურთა და მათ ოჯახთა უფლებრივი და ძალებრივი მდგომარეობის დაცვა სასამართლო წესით.

10. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე სასოფლო, საქალაქო და დასახლებულობათა საბჭოები მოვალენი არიან, თავიანთი წევრების სახით, აღძრან ხოლმე საარჩელი, მიიღონ სასამართლოში წარმოებულ საქმეებში მონაწილეობა მესამე პირის სახით მოსარჩელისა თუ მოპასუხის მხარეზე—ა/ესფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის სათანადო მუხლების წესისამებრ—და იხმარონ სხვა ღონისძიება შეღავათების უფლების მქონე პირთა ინტერესების დასაცავად ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მიიღებენ ცნობას ისეთი გარემოების თაობაზე, რაც ამ პირთა ინტერესებს ეხება (საცხოვრებელი ფართობის უფლების დარღვევა, ცოლისა და შვილების შენახვის უფლების ჩამორთმევა, ისეთ ქონებაზე გადახდევინების მიქცევა, რაც იძულებით არ შეიძლება გაიყიდოს, და სხვ.).

11. შეღავათების კოდექსის მე-7 მუხლის წესისამებრ საქმის წარმოების დროს სათანადო ორგანოს და თანამდებობის პირს აქვს. ყველა ის უფლება, რაც მხარეს პროცესში, იმისდამიუხედავად, იღებს თუ არა საქმეში მონაწილეობას უშუალოდ დაინტერესებული პირი.

თავი IV. ზედამხედველობა უფლებათა დაცვისათვის.

12. ყოველი პროკურორი, რომელიც კი მიიღებს, ვისგანაც უნდა იყოს, ცნობას შეღავათების უფლების მქონე პირთა კანონიერი ინტერესების დარღვევის თაობაზე, მოვალეა დაუყოვნებლივ იხმაროს ღონისძიება გამოაშკარავებული დარღვევის ასაცილებლად და მისცეს დამრღვევენი პასუხისგებაში.

13. პროკურატურა მოვალეა—შეღავათების უფლების მქონე პირისაგან შეტანილი განცხადება განიხილოს და გამოიძიოს პირველ რიგში და შედეგი აცნობოს განმცხადებელს.

14. პროკურატურა მოვალეა ადეგნოს მუდმივ თვალყური სასამართლოს ინსტანციაში იმ საქმეების თავის დროზე მსელელობას, რომლებშიაც ერთ-ერთ დაინტერესებულ მხარედ შეღავათების უფლების მქონე პირია, და აგრეთვე რაც შეიძლება ფართოდ გამოიყენოს—სასამართლოს გადაწყვეტილებათა და განაჩენთა გაუქმების თაობაზე ზედამხედველობის წესით საკითხის აღძვრის უფლება.

15. ის თანამდებობის პირი, რომელმაც არ იხმარა ღონისძიება ან თავის დროზე არ იხმარა იგი შეღავათების უფლების მქონე პირთა კანონიერი ინტერესების დასაცავად, მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით ხელისუფლების უმოქმედობის ან სამსახურის უგულვებელყოფისათვის.

---

203. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 34^{17} და 34^{38} მუხლების შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 34^{17} და 34^{38} მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„34^{17}. ნამდვილ სამხედრო სამსახურისათვის ან სხვა რაიმე შემთხვევით მუშათა და გლეხთა წითელი არმიის გაწვეული პირი (ჯარში გაწვევამდე მომზადება, ტერიტორიალურ ნაწილებში სწავლება და თავმოყრა და სხვ.) მიიღებს დამქირავებლისაგან ერთდროულ დახმარებას, ან მას შეენარჩუნება თანამდებობა და სამუშაო საშოვარი „მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო-მსახურთა და სამხედრო-ვალდებულთა და მათ ოჯახთა შეღავათების კოდექსით“ დადგენილ საფუძვლებზე (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 23 №-ი, მუხ. 252—253).

„34^{38}. ნამდვილი სამხედრო სამსახურისათვის ან სხვა რაიმე შემთხვევით მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში გაწვეული დროებითი მუშა და მოსამსახურე (ჯარში გაწვევამდე მომზადება, ტერიტორიალურ ნაწილებში სწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება და თავმოყრა და სხვ.) მიიღებს დამქირავებლისაგან ერთდროულ დახმარებას, ან მას შეენარჩუნება თანამდებობა და სამუშაო საშოვარი „მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო-მსახურთა და სამხედრო-ვალდებულთა და მათ ოჯახთა შეღავათების კოდექსით“ დადგენილ საფუძვლებზე (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 23 №-ი, მუხ. 252—253).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ოქტომბრის 8.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 283 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 19-ს.

---

206. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისათვის სათევზე მეურნეობის გამგებლობის ფუნქციების გადაცემის შესახებ.

რათა მთლად სათევზე მრეწველობისა და სამეგბადურო კოოპერაციის ხელმძღვანელობის საქმე თავმოყრილ იქნეს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოებში, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო,—სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 3-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 45 №-ი, მუხ. 460),—ადგენენ:

1. დაეკისროს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატებს—სრულიად საკავშირო შენაერთის „სოიუზრიბა“-ს კონტორების (ა/კსფსრ-ში) ხაზით—ყველა იმ ფუნქციის გარდა, რაც ვათვალისწინებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაში „ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რერორგანიზაციის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-4 №-რი, მუხ. 44), აგრეთვე:

ა) ყველა სათევზაო და აგრეთვე ზღვის მხეცთახოცვის სანახების საერთო გამგებლობა;

ბ) თევზისპერისა და ზღვის მხეცთახოცვის მრეწველობის მოწესრიგება და აგრეთვე ამ საქმის მეთვალყურეობა;

გ) თევზისპერის ღონისძიებათა განხორციელება;

დ) სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა თევზის მოშენებისა, თევზისპერისა და ზღვის მხეცთახოცვის მრეწველობის სფეროში;

ე) ხელმძღვანელობა და წარმართვა ყველა პროფესიონალურ-ტექნიკური განათლების სასწავლებლისა თევზის საქმეში;

ვ) ხელმძღვანელობის გაწევა სამებადღრო კოოპერაციის სამეურნეო მოქმედებისათვის და თვალყურის დევნება მისი მუშაობისათვის.

2. 1-ლი მუხლის შესაბამისად ჩამოერთვას ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და გადაეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატებს—სრულიად საკავშირო შენაერთის „სოიუზრიბა"-ს კონტორების ხაზით—გამგებლობა და რეგულირება:

ა) ყველა იმ დაწესებულებისა და საწარმოსი, რომელიც ა/კსფსრ-ში განაგებს სათევზე მეურნეობისა და თევზის მოშენების საქმეს;

ბ) აზერბაიჯანის იხტიოლოგიური ლაბორატორიისა ბაქოში;

ა) სევანის ტბის იხტიოლოგორი სადგურისა ელენოვკაში.

3. ყველა კრედიტი, რაც გახსნილია გადასაცემ დაწესებულებათა და საწარმოთა ხარჯთაღრიცხვებით, ყველა მათი მომსახურე პერსონალით, და აგრეთვე მთელი მათი ქონება და ყველა მათ მიერ დაპერილი სადგომი სრულად უნდა გადაეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ვაჭრობის სახალხო კომისარიატებს—სრულიად საკავშირო შენაერთის „სოიუზრიბა"-ს კონტორების ხაზით—კუთვნილებისამებრ.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყონ ამა დადგენილების შესრულება არა უგვიანეს 1930 წ. ოქტომბრის 15-სა, რისთვისაც დაუყოვნებლივ მოაწყონ რესპუბლიკებში სპეციალური კომისიები.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათა—შეიტანონ რესპუბლიკანურ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—შეეთანხმოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—რა ფორმით უნდა მიიღოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა მონაწილეობა სათევზე მეურნეობის საკითხების შემუშავებაში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ოქტომბრის 8.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

207. ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადასვლის დროს სპეციალისტების დაქირავების წესის შესახებ.

მუშაობაში სპეციალისტების ჩაბმის მოსაწესრიგებლად და ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში გადასვლელი სპეციალისტების დაქირავების საქმეში გეგმიანობის პრინციპების შესატანად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაეკალოს დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელთ სხვა დაწესებულებიდან თუ საწარმოდან გადასვლელი სპეციალისტის მიღების საკითხი შეუთანხმონ ხოლმე წინასწარ მისი წინანდელი მუშაობის ადგილის დაწესებულებისა თუ საწარმოს ხელმძღვანელს.

2. იმ სპეციალისტს, რომელიც სამუშაო ხელფასს 250 მან. და მეტი რაოდენობით იღებს, ერთი დაწესებულებიდან თუ საწარმოდან მეორეში გადასვლის დროს—ერთიდაიმავე ზოლის ფარგლებში—არ შეუძლიან, ერთი წლის განმავლობაში გადასვლის დღიდან, მიიღოს ახალ ადგილზე იმ სამუშაო ხელფასზე მეტი, რასაც იგი წინანდელ ადგილას იღებდა.

3. ამა დადგენილებაში აღნიშნული წესი სპეციალისტის დაქირავებისა და მისი სასყიდლის შესახებ არა ვრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც სპეციალისტი ახალი სამსახურისათვის სოფლად გადადის მობილიზაციით ან საგეგმო წესით სპეციალისტების გადაყვანის დროს, აგრეთვე არა ვრცელდება საინჟენერო-სატეხნიკო მომუშავეებზე ისეთ შემთხვევაში, რაც გათვალისწინებულია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „წარმოებაში საინჟენერო-სატეხნიკო პერსონალის მიზიდვის შესახებ“ 1930 წ. მაისის 13-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტებში (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 28 №-ი, მუხ. 314).

4. დაეკისროს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას, აგრეთვე მათ ადგილობრივ ორგანოებს—თვალყური ადევნონ ამა დადგენილების შესრულებას და პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, ვინც დაარღვევს ამა დადგენილებით განსაზღვრულ წესს სამუშაოზე სპეციალისტების დაქირავების და მათი სასყიდლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ოქტომბრის 8.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 275 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 11-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

208. ა/კსფსრ-ში საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემოღების შესახებ.

სოციალისტური მშენებლობის განვითარება მოითხოვს მშრომელთა ფართო მასსების კულტურული და ტეხნიკური ჩამორჩენილობის რაც შეიძლება სასწრაფოდ აღმოფხვრას.

ამ ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელია საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემოუღებლად.

ა/კსფსრ ცხოვრების რთულ პირობებში საყოველთაო სწავლების განხორციელებას წინ ეღობებიან განსაკუთრებული დაბრკოლებანი.

მთელი რიგი რაიონების კულტურულ-პოლიტიკური ჩამორჩენილობა, ისეთ ეროვნებათა არსებობა, რომელთაც აქამდე დამწერლობა არა აქვთ და არა ჰყავთ ცოტად თუ ბევრად კულტურული ძალები (ქურთები, თალიშები და სხვ.), რელიგიური ცრუმორწმუნეობისა და პატრიარქალური ადათის ძლიერი გავლენა, თურქი-ქალისა, აჯარელი-ქალისა და სხვ. მონური მდგომარეობა,—ყველა ეს,—გამძვინვარებული კლასობრივი ბრძოლისა და კულაკებისა, კონტრრევოლიუციონურად განწყობილი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტებისა, მოლებისა და ხუცების აქტიური წინააღმდეგობის პირობებში,—მოითხოვს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელი ენერგიის და მშრომელი მასსების აქტივობის მობილიზაციას საყოველთაო სწავლების საქმის გარშემო, როგორც უაღრესი მნიშვნელობის პოლიტიკური ამოცანის გარშემო, მთელი უახლოეს პერიოდის განმავლობაში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო სცნობენ აუცილებელ საჭიროებად, რათა სასწრაფოდ დაწყებულ იქნეს და ფართოდ გაიშალოს საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლება, რისთვისაც მოუწოდებენ პროფესიონალურ, კომკავშირულ, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციებს, აგრეთვე—ყველა მუშას, ჭშრომელ გლეხს, განსაკუთრებით კოლეფუონეი, და საბჭოთა ინტელიგენციას გამოიჩინონ მაქსიმალური ინიციატივა და თვითმოქმედება და მიაღწიონ გადამწყვეტ გამარჯვებას საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების ფრონტზე; ამისდამიხედვით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. შემოღებულ იქნეს 1930-31 წლიდან, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების გადაწყვეტილებით, ყველა ქალაქსა, საფაბრიკო-საქარხნო რაიონსა და მუშათა დასახლებულობაში, აგრეთვე სოფლად 8, 9 და 10 წლის ასაკის ბავშვთა (ქალ-ვაჟთა) საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლება, არა ნაკლებ დაწყებითი სკოლის ოთხწლიანი კურსისა, იმ პირობით, რომ სავალდებულო სწავლება 1931-32 წელს გავრცელებულ იქნეს აგრეთვე 11 წლის ბავშვებზე.

დაწესებულ იქნეს 1930-31 წლიდან პირველი საფეხურის სკოლებში (შრომის სკოლის პირველი ოთხი ჯგუფი) მოსწავლე ბავშვთათვის, ასაკის მიუხედავად, ამ სკოლების სრული კურსის სავალდებულო გავლა.

2. შემოღებულ იქნეს სომხეთის სსრ-ში და საქართველოს სსრ-ში 1931-32 წლიდან 8—11 წლის ასაკის ბავშვების საყოველთაო სავალდებულო სწავლება მთლად ყველა დანარჩენ რაიონებში და ადგილას.

აზერბაიჯანის სსრ მთავრობამ უნდა მიიღოს ღონისძიებანი ყველა საჭირო პირობის შესაქმნელად, რათა არა უგვიანეს 1932 წლის შემოდგომისა საყოველთაო სწავლებამ მოიცვას მთლად სასკოლო ასაკის ბავშვები.

შენიშვნა. სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის განსაკუთრებით ჩამორჩენილ, ნაკლებად დასახლებულ და დაშორებულ (საზამთრო ბინები) რაიონებსა და ადგილებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელება, სათანადო სახალხო კომისართა საბჭოს წარდგენისამებრ, და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით, შეიძლება გადადიოს 1932-33 სასწავლო წლის დასაწყისამდე.

3. შემოღებულ იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში 1930-31 წლიდან იმ ასაკგადაცილებული ბავშვების (11-დან 15 წლამდე) სავალდებულო სწავლება, რომელთაც დაწყებითი სკოლის კურსი არ გაუვლიათ, რისთვისაც მოეწყოს სპეციალური ერთწლიანი და ორწლიანი სკოლა-კურსები და ჯგუფები სკოლებთან (მათი მომზადების მიხედვით).

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმასა, რათა სწავლებამ სრულად მოიცვას ჩამორჩენილ რაიონთა და ეროვნებათა ბავშვი-ქალები.

5. შემოღებულ იქნეს 1930-31 წლიდან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამრეწველო ქალაქებსა, საფაბრიკო-საქარხნო რაიონებსა, მუშათა დასახლებულობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში ბავშვების (ქალ-ვაჟთა) საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლება სკოლა-შვიდწლედის მოცულობით, და იმ ბავშვებისათვის, რომელთაც ამ რაიონებში 1930 წელს დაამთავრეს დაწყებითი სკოლა (1 საფეხური), დაწესებულ იქნეს სავალდებულო სწავლება შვიდწლედში.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს 1930-31 წლიდან გაშალონ, უწინარეს ყოვლისა, სამრეწველო ქალაქებსა, საფაბრიკო-საქარხნო რაიონებსა და მუშათა დასახლებულობებში საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლედების ქსელი.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს 1930-31 წლიდან გაშალონ სოფლად დღისა და საღამოს სკოლების ქსელი საკოლმეურნეო ახალგაზრდობისათვის, იმ პირობით, რომ ამ სკოლებმა 1932-33 წელს მოიცვან საკოლმეურნეო ახალგაზრდობის ძირითადი მასსა.

6. იმ ბავშვების სკოლაში გაგზავნის მოვალეობა, რომელთათვისაც შემოღებულია საყალდებულო სწავლება, დაეკისროს მათ მშობლებს და აგრეთვე იმ პირებსა და იმ დაწესებულებებს, ვის მზრუნველობაზედაც ბავშვები იმყოფებიან.

ამ მოვალეობის შეუსრულებლობისათვის დაწესდეს პასუხისმგებლობა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობის წესისამებრ.

7. პასუხისმგებლობა ყველა იმ პრაქტიკული ღონისძიების გატარებისათვის, რაც უზრუნველჰყოფს საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების განხორციელებას, დაეკისროს საქალაქო, სადასახლებულობო და სასოფლო საბჭოებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს.

8. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უზრუნველჰყონ ამ წლიდან საყოველთაო სწავლების სკოლებში პოლიტეხნიზმის განხორციელება, რისთვისაც ანგარიშში მიიღონ რესპუბლაკებისა და რაიონების განსაკუთრებული სამეურნეო პირობები; აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საყოველთაო სწავლების სკოლების პროგრამებსა და სამეთოდო მასალებში მოსწავლეთა ანტირელიგიოზურ და ინტერნაციონალურ აღზრდას.

რათა საყოველთაო სავალდებულო სწავლების სისტემაში შეიქმნას რაც შეიძლება უფრო რაციონალური გეგმა პოლიტეხნიზაციისა, ჩატარებულ იქნეს არა უგვიანეს 1931 წლის იანვრისა სარაიონო, რესპუბლიკანური და საამიერკავკასიო კონფერენციები პოლიტეხნიზმისათვის.

პოლიტეხნიზაციისათვის ნამდვილი პირობების შესაქმნელად საყოველთაო სწავლების რესპუბლიკანურმა კომიტეტებმა უნდა შეიმუშაონ გეგმა და მოაწყონ, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებთან ერთად, პედაგოგიის მოთხოვნათა მიხედვით, სტანდარტიზებული შრომის იარაღები.

9. საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების საჭირო სახსარითი უზრუნველსაყოფად განხორციელებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებანი:

ა) მიენდოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს უზრუნველჰყოს საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების განხორციელების საქმის დაფინანსება როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი ბიუჯეტით, რასთვისაც მხედველობაში მიიღოს ამა დადგენილებით განსაზღვრული ვადები;

ბ) სამბიუჯეტო ასსიგნებით უზრუნველსყოფასთან ერთად, საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების განხორციელების გეგმების შესაბამისად, მაქსიმალურად ჩაბმულ იქნენ საყოველთაო სწავლების დაფინანსებაში და აგრეთვე საყოველთაო სწავლების სკოლების მშენებლობასა, რემონტსა და გაწყობაში სამეურნეო, საპროფკავშირო, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე გამოყენებულ იქნეს თვით მოსახლეობის სახსარიც;

გ) ყველა დაინტერესებულმა სამეურნეო სახალხო კომისარიატმა და ორგანიზაციამ უნდა წარუდგინოს საყოველთაო სწავლების სათანადო კომიტეტებს თავიანთი კონკრეტული გეგმები საყოველთაო სწავლების განხორციელების საქმეში მონაწილეობისა, კერძოდ—სასკოლო მშენებლობაში, გაჭირვებულ ბავშვთა დახმარებაში, კურსების მოწყობაში, პოლიტეხნიზაციის ხარჯებში და სხვ.;

დ) სამეურნეო ორგანოების დიდ კაპიტალურ მშენებლობათა საფინანსო გეგმებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს კაპიტალური დაბანდებანი საყოველთაო სწავლების სკოლების მშენებლობისათვის ისეთი რაოდენობით, რასაც დაამტკიცე-

ბენ ა/კსფსრ მთავრობა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობანი—კუთვნილებისამებრ;

ე) სავალდებულო საყოველთაო სწავლების ჩამტარებელმა რესპუბლიკანურმა კომიტეტებმა უნდა შეიმუშაონ ღონისძიებანი ფართო მასსების ინიციატივის ორგანიზაციისათვის საყოველთაო სწავლების დაფინანსების საქმეში დახმარების გასაწევად—ფულადი თანხების გადადებით სოციალისტური შეჯიბრებისა და თვითდაბეგვრის წესით, სპეციალური ფონდების მოწყობით, სპეციალურ შენატანებზე გამოწვევით, კულტურული ჰექტარების შემოსავლით, მიწების კოლექტიურად მოხვნით, უსასყიდლო შრომითი მონაწილეობით, შეფების დახმარებით და ა.ხვ.;

ვ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა სავსებით უნდა უზრუნველჰყონ საყოველთაო დაწყებითი სწავლების სკოლების მშენებლობის ფონდები;

ზ) დაეკალოს ყველა სამეურნეო ორგანოს უზრუნველჰყოს სასკოლო შენობების აგება ამ საწარმოთა და საფაბრიკო-საკარხნო დასახლებულობათა ფარგლებში, რომლებიც ახლად შენდება;

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა განსაზღვრონ სამეურნეო ორგანოების მონაწილეობის ოდენობა ამ სასკოლო შენობების მშენებლობაში და აგრეთვე თვალყური ადევნონ ამ მშენებლობის განხორციელებას.

10. სასკოლო მშენებლობაზე სახსარის ხარჯვის დროს პირველ რიგში დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს ძირითადი სამრეწველო რაიონებისა, მუშათა ცენტრაბისა, საბჭოთა მეურნეობებისა, მთლიანი კოლექტივიზაციის-რაიონებისა და აგრეთვე კულტურულად ჩამორჩენილი რაიონების საჭიროებანი.

11. დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნეს პირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ყველა სასკოლო შენობა, რაც დაჭერილია სხვა საჭიროებისათვის; აგრეთვე პირველ რიგში გამოყენებულ იქნეს სკოლებისათვის მემამულეთა კარმიდამოები, კონფისკებული კულაკური სახლები და სხვ..

12. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და აგრეთვე საშენი მასალის განმანაწილებელ ორგანოებს—სავსებით უზრუნველჰყონ საშენი მასალით სკოლების მშენებლობა და კაპიტალური რემონტი, და მოაწყონ მეთვალყურეობა ამ მასალით სკოლების მშენებლობის დაუკადებელი მომარაგებისათვის.

13. საყოველთაო დაწყებითი სწავლების სკოლების პედაგოგიური კადრებით უზრუნველსაყოფად მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) სასწრაფოდ გაშალონ პედაგოგიური სასწავლებლების ქსელის (პედაგოგიური ინსტიტუტი, პედაგოგიური ტეხნიკუმი, სპეციალური პედაგოგიური კურსები მასწავლებელთა მომზადებისა და გარდამზადებისათვის, არადასასწრები კურსები მასწავლებელთა მომზადებისა და გარდამზადებისათვის და პედაგოგების კვალიფიკაციის წარმატების სხვა ფორმები);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) გარდაქმნან მთლად პედაგოგიური განათლება პოლიტეხნიზმის ბაზისზე და გადასინჯონ უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების ქსელი იმ მხრით, რომ წარმატებულ იქნეს ინდუსტრიალური და აგროინდუსტრიალური პედაგოგიური სასწავლებლებისა და პედაგოგიური ტეხნიკუმების ხვედრითი წონა;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ ეროვნულ უმცირესობათა სკოლების კადრების მომმზადებელი პედაგოგიური სასწავლებლების განვითარებას;

დ) ჩაატარონ პედაგოგიური სასწავლებლების უკანასკნელი კურსების მსმენელთა ვადამდე გამოშვება, იმ პირობით, რომ ისინი უკვე ამა წლის შემოდგომას მობილიზებულ იქნენ სავალდებულო სწავლების სამუშაოზე;

ე) იხმარონ ღონისძიება იმ მასწავლებელთა პედაგოგიურ მუშაობაში ჩასაბმელად, რომელნიც არათავიანთ სპეციალობაში მუშაობენ;

ვ) ჩაბაბან საყოველთაო სავალდებულო სწავლების სამუშაოში, საწარმოო პრაქტიკის წესით, პედაგოგიური სასწავლებლების მოსწავლენი;

ზ) გაამეიერონ კომუნისტური და მუშური ელემენტი მასწავლებელთა შორის.

14. ადგილობრივმა საპროფკავშირო და საზოგადო ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მოკლევადიანი პედაგოგიური კურსებისა, არადასასწრები კურსებისა და პედაგოგიური სწავლების სხვა ფორმების დაკომპლექტებაში მუშათა, მოჯამაგირეთა და ღარიბთა ახალგაზრდობისა, წითელარმიელებისა, თვალსაჩინოდ მომზადებული მოწინავე პიონერებისა და სხვ. კონტინგენტით; თანაც საკმარისად უზრუნველყოფილ უნდა იქნეს კომუნისტური და მუშური ელემენტი იმ პირთა შორის, რომელნიც მიიღებიან უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში და კადრების მომმზადებელ კურსებზე; ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალთა პროცენტის გადიდებას.

15. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს — გადასინჯონ პედაგოგიური ინსტიტუტებისა, ტეხნიკუმებისა და კურსების სასწავლო გეგმები და პროგრამები და განახორციელონ ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს პედაგოგიური კადრების მარქსისტულ-ლენინურ და პოლიტეხნიკურ მომზადებას.

16. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს — შეიმუშაონ ღონისძიებანი, რათა საყოველთაო სწავლების სკოლებმა ორგანიზებული დახმარება გაუწიონ კოლექტიურ მეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და უღარიბეს საგლეხო მეურნეობებს.

17. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი შრომის სკოლის მასწავლებლების მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და, კერძოდ, გითვალისწინონ შრომის სკოლის მასწავლებლების სამუშაო ხელფასის გადიდება, სოფლის შრომის სკოლის მასწავლებლების გათანასწორება სამრეწველო მუშებთან დეფიციტიანი სამრეწველო საქონლის მომარაგების მხრით, უზრუნველყოფა სახალხო განათლების ბიუჯეტით ისეთი ხარჯებისა, რაც საჭიროა კანონმდებლობით მასწავლებელთათვის გათვალისწინებული შელავათების განხორციელებისათვის და სხვ..

18. იმ მიზნით, რათა ნაკლებად უზრუნველყოფილ მუშათა, მოჯამაგირეთა და ღარიბთა შვილებისათვის ნამდვილად ხელმისაწვდენი გახდეს დაწყებითის სკოლაში სწავლება, თანაც რათა გაუმჯობესდეს სწავლების თვისება და ბრძოლა გაეწიოს ორ-ორ წლობით დარჩენას და სკოლისაგან მოწყვეტას, წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) უზრუნველჰყონ მოსწავლეთათვის, რომელნიც ზემოაღნიშნული კატეგორიების მშრომელთა შვილების წრეს ეკუთვნიან, 1930-31 წლიდან უფასოდ სასწავლო წიგნებისა, საწერი საგნებისა, ფეხსაცმლისა, ტანისამოსისა, საუბნისა, ტრანსპორტისა და სხვ. მოსაწოდებლად; აგრეთვე მოაწყონ სოფლის მოსახლეობის სასკოლო ასაკის ბავშვთათვის უფასოდ სამკურნალო მომსახურეობის გაწევა;

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა გაითვალისწინონ საბიუჯეტო ასიგნები ამ მიზნისათვის; თანაც მიიზიდონ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოსახლეობის სახსარი და აგრეთვე საამისოდ შექმნილი სპეციალური ფონდების სახსარი;

ბ) ფართოდ გაშლონ დამატებითი მეცადინეობა ჩამორჩენილ მოწაფეებთან და აგრეთვე წინასწარი, დაწყებითს სკოლაში შესვლამდე, მომზადება მუშებისა, მოჯამაგირეებისა და სოფლის ღარიბი ელემენტების ბავშვებისა, რისთვისაც ამ საქმეში ჩაბან, საზოგადოებრივი მუშაობის წესით, მასწავლებლები, მშობელთა აქტივი, უფროსი ჯგუფების მოსწავლენი, საპიონერო ორგანიზაციები და გამოიყენონ, საწარმოო პრაქტიკის წესით, უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების მოსწავლენი;

გ) როგორც საერთო წესი განსაზღვრონ სასწავლო წლის ნორმალური ხანგრძლიობა არა ნაკლებ, ვიდრე 225 სასწავლო დღე—ადგილობრივი პირობების მხედველობაში მიღებით.

19. რადგანაც ფართო საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია მძიმე ტემპით მიმდინარეობს და საჭიროა გაძლიერებულ იქნეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური კამპანია საყოველთაო სწავლების საკითხების გარშემო:

ა) ჩატარებულ იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში საყოველთაო სწავლების თვიური და უზრუნველყოფილ იქნეს იგი საჭირო კადრებით;

ბ) ფართოდ იქნეს გაშუქებული პრესსაში საყოველთაო სწავლების შემოღების საქმის მიმდინარეობა, რისთვისაც პრესსამ შემოიღოს პრაქტიკაში საქმის მდგომარეობის შემოწმება, საკითხისათვის მიღილ გვერდების დათმობა და სხვ.;

გ) გაშლილ იქნეს საყოველთაო სწავლების შემოღების საქმის გარშემო მასსიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიცაა კულტლაშქრობა, სოციალისტური შეჯიბრება, საწარმოთა შეფობა სკოლებზე, საზოგადოებრივი შემოწმება, მასსიური კონფერენციები და სხვ.;

დ) მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—შეამოწმონ რამდენად უზრუნველჰყვეს რესპუბლიკების სახელმწიფო გამომცემლობებმა საყოველთაო სავალდებულო სწავლების საქმე სასწავლო წიგნებით, რვეულებით და სხვა სასწავლო საგნებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) უზრუნველყოფილ იქნეს საყოველთაო სავალდებულო სწავლების კამპანია მასსიური პოპულიარული ბროშურებისა, პლაკატებისა, ფურცლებისა და სხვ. გამოცემით;

ვ) საყოველთაო სწავლებისათვის მომსახურეობის გაწევის საქმეში გამოყენებულ იქნეს მხატვრული ზეგავლენის ყოველგვარი საშუალება: თეატრი (განსაკუთრებით—ბუშა-ბალღობის თეატრები, ნორჩი მაყურებლის თეატრები და მუშა-ახალგაზრდობის თეატრები), კინო, პროლეტარული მწერლების ასოციაციები, საბჭოთა მწერლების ფედერაციები, აგრეთვე რადიო, რისთვისაც დაეკალოს სათანადო ორგანიზაციებს წარადგინონ საყოველთაო სწავლების სათანადო კომიტეტებში მათი მონაწილეობის გეგმები.

20. საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღებისათვის მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის სახსართა და ძალთა მობილიზაციის მიზნით მოეწყოს ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებთან საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემომღები კომიტეტები—სათანადო სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეთა ან მათ მოადგილეთა თავმჯდომარეობით; მოეწყოს ასეთივე კომიტეტები აგრეთვე სარიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და საქალაქო, სადასახლებულობო და სასოფლო საბჭოებთან.

იმავე მიზნით და აგრეთვე საყოველთაო სწავლების რაც შეიძლება უკეთესად განხორციელების მიზნით თვალსაჩინოდ გადაკეთებულ იქნეს სახალხო განათლების ორგანოების მუშაობა, რისთვისაც მოხდეს სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაცია თავიდან ბოლომდე და მოეწყოს კულტურის საბჭოები, გაძლიერდეს მუშათა დაწინაურება სახალხო განათლების აპარატში დასანიშნავად, განმტკიცდეს სახალხო განათლების ორგანოების კავშირი მშრომელთა ფართო მასსებთან და სხვ..

21. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათა კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის გადასინჯვის დროს შეიმუშაონ საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემოღების გეგმები, რომლებშიაც გაითვალისწინონ ამ გეგმების განხორციელების უზრუნველყოფა სახსარით, სასკოლო შენობებით და პედაგოგიური ძალებით.

22. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებს დაიწესონ სისტემატიური მეთვალყურეობა საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემოღებისათვის.

23. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ერთი თვის ვადაზე მოისმინოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მოხსენებანი ამა დადგენილების შესრულების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ოქტომბრის 19.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 285 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

209. ა/კსფსრ-ში საფიზკულტურო მუშაობის განმტკიცების ღონიერებათა შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. აპრილის 1-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 21 №-ი, მუხ. 233) და ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წლის მაისის 10-ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 112) შესაბამისად, აგრეთვე მუშაობის განვითარების მიზნით მშრომელთა ფიზიკური კულტურის სფეროში, როგორც შრომის ნაყოფიერების გადიდებისა, წარმოების პროფესიონალურ მავნე ლობასთან ბრძოლისა და თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების მასსიური ფაქტორის სფეროში,—ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. 1931 წელს ფიზიკური კულტურის საბჭოების მოქმედების უზრუნველყოფისათვის მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—1931 სამეურნეო წლის ბიუჯეტის საბოლოო განაწილების დროს გაითვალისწინონ როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი ბიუჯეტით ამ მიზნისათვის საჭირო სახსარი 1931 სბიუჯეტო წლის საკონტროლო ციფრების შესაბამისად.

2. ა/კსფსრ-ში სასპორტო ნაგებობათა მშენებლობის გაძლიერებისა, ამ საქმეში მეტი გეგმიანობისა და ორგანიზებულობის შეტანისა, საფიზკულტურო მოძრაობაში მუშათა მასსებისა და გლეხ-მოსახლეობის ჩასაბმელად სათანადო მუშაობის მაქსიმალურად გაფართოებისათვის, საჭიროდ იქნეს ცნობილი სასპორტო მშენებლობის დაფინანსების გაძლიერება შემდეგი წყაროებიდან:

ა) არა ნაკლებ 2%-ის გადარიცხვისა მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან;

ბ) 2%-იანი ანარიცხი ამა თუ იმ რესპუბლიკის მთელი სამკურნალო დახმარების ტერიტორიალური ფონდიდან;

გ) სოციალური დაზღვევის მთელი ბიუჯეტის ანარიცხი, რასაც განსაზღვრავს ამერიკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს პლენუმი—ამერიკავკასიის ფიზიკური კულტურის საბჭოსთან და ამერიკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით;

დ) ადგილობრივი ბიუჯეტის ასსიგნები.

3. დაევალოს ყველა სბინაო-სამშენებლო ამხანაგობას, სახელმწიფო დაწესებულებას და საზოგადოებრივ ორგანიზაციას ახალი საცხოვრებელი სახლებისა, დასახლებულობებისა, ფაბრიკებისა, ქარხნებისა და დაწესებულებების მშენებლობის დროს გაითვალისწინონ მუშა-მოსამსახურეთა ფიზიკური გაჯანსაღების საჭიროებანი და შეიტანონ ახალი შენობების ხარჯთაღრიცხვებში საერთო სახმარი შხაპები, სოლარიუმები, სასპორტო ბაქნები და საგიმნასტიკო დარბაზები.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) მიანდონ კომუნალური მეურნეობის სათანადო ორგანოებს—ქალაქების დაგეგმვის პროექტების შედგენის დროს გაითვალისწინონ სპეციალურ საფიზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურო ნაგებობათათვის ისეთი მიწის ნაკვეთების მიჩენა, რაც ტერიტორიალურად მარჯვედ მდებარეობს მოსახლეობის მიერ გამოსაყენებლად;

სხვადასხვა საფიზკულტურო ნაგებობათათვის ნაკვეთების მიჩენა უნდა სწარმოებდეს დაგეგმვის პროექტების მიხედვით, ხოლო ამ პროექტების შედგენამდე—ქალაქის საგულვებელი დაგეგმვის საფუძველზე; საფიზკულტურო ნაგებობათა მშენებლობისათვის მისაჩენმა მიწის ნაკვეთებმა თავისი ზომით უნდა უზრუნველჰყოს ამ ნაგებობათა წარმატებით გაწყობა და ექსპლოატაცია;

სასპორტო ბაქნებისათვის, სტადიონებისათვის და სხვა საფიზკულტურო ნაგებობისათვის მისაჩენი მიწის ნაკვეთები უნდა იყოს დაგეგმილი, მისავალი გზებით გაწყობილი, წყლით მომარაგებული, ტყით და სიმწვანით შემოსილი, რისთვასაც ადგილობრივმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა შეიტანონ თავიანთ ბიუჯეტებში სასპორტო ბაქნების კეთილმოწყობისთვის საჭირო ასიგნები;

საფიზკულტურო მეცადინეობისათვის უკვე გაწყობილი ნაკვეთებისა და გამმასტიური სასპორტო დარბაზების ჩამორთმევა და საზოგადოებრივი აღნაგობისა და სხვა მიზნისათვის გადაცემა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ ეს ადგილი დაკავშირებულია ქალაქის საერთო დაგეგმასთან, ან უკეთუ ჩამორთმეული ნაკვეთის ნაცვლად მიჩენილ იქნება ახალი ნაკვეთი; ამასთანავე, ყველა უწყება და ორგანიზაცია მოვალეა აუნაზღაუროს ფიზიკური კულტურის სათანადო საბჭოს ხარჯები შესაფერი დარბაზებისა, ბაქნებისა და სხვა საფიზკულ-კულტურო ნაგებობის ახალ ადგილზე გაწყობისათვის;

ბ) მიანდონ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს—დაუყოვნებლივ შეუდგნენ ანტროპომეტრული კაბინეთების გაფართოებას და ყველა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტთან, პოლიკლინიკასთან და დისპანსერთან მშრომელთა ფიზიკური განათლებისა და აღზრდის სექტორის მოწყობას;

ნაგებობათა რაოდენობამ და თვისებამ უნდა უზრუნველჰყოს სამკურნალო კონტროლის ორგანიზაცია მთლად საფიზკულტურო მუშაობისათვის და ფიზკულტურის, როგორც ჯანმრთელობის სხვადასხვა დაწესებულების სისტემაში სოციალურ-ჰიგიენური, სამკურნალო და ევგენიკური ფაქტორის, მეცნიერულად შესწავლის დაყენება;

გ) დაავალონ განათლების სახალხო კომისარიატების და მათ ადგილობრივ ორგანოებს—1931 წ. ბიუჯეტის განაწილების დროს გაითვალისწინონ ხარჯთაღრიცხვებში შემდეგი საბიუჯეტო წლისთვის სახსართა გადადება, რაც უზრუნველჰყოფს მოსწავლეთა სავალდებულო საფიზკულტურო აღზრდის განხორციელებას;

დ) დაავალონ უმაღლესი სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების გამგეობებს—გაითვალისწინონ თავიანთ 1931 საბიუჯეტო წლის ხარჯთაღრიცხვებში ახალ სასპორტო ნაგებობათა მშენებლობა და არსებულთა გაწყობა სტუდენტობის სავალდებულო ფიზიკური აღზრდის განსახორციელებლად.

5. წინადადება შეიცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს მიიღონ ღონისძიებანი, რათა 1931 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამრეწველო-საფინანსო გეგმის საკონტროლო ციფრების არა-სანომენკლატურო ღონისძიებათა ნაწილში შეტანილ იქნეს:

ა) სასპორტო ნაგებობათა (საზამთრო და საზაფხულო) გამართვა;

ბ) სამკურნალო გიმნასტიკის კაბინეთები:

გ) ბიომეტრიის კაბინეთები.

6. პასუხისმგებლობა ამა დადგენილების შესრულებისათვის დაეკისროს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, ხოლო რკინის გზის და წყლის ტრანსპორტის საწარმოთა მიმართ—ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციას, კასპის ზღვის ნაოსნრბის სამმართველოს და შრომის საგზაო ინსპექციას.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ოქტომბრის 19.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

210. „ა/კსფსრ-ში ოლქების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით რაიონების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1930 წ. აგვისტოს 28-ს დადგენილების დამატების შესახებ.

თანახმად სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1930 წ. სექტემბრის 18-ის დადგენილებისა „საერაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სტრუქტურისა და ტიპობითი საორიენტირო შტატების თაობაზე გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1930 წ. აგვისტოს 9-ის დადგენილების დამატების შესახებ“ და „ა/კსფსრ-ში ოლქების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით რაიონების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. აგვისტოს 28-ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-16 №-ი, მუხ. 178) დასამატებლად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაწესებულ იქნეს თვითეული კატეგორიის რაიონში ერთი თანამდებობა სამხედრო ინსპექტორისა შემდეგი ჯამაგირით: I-ლი კატეგორიის რაიონში—115 მან., მე-II კატეგორიის რაიონში—130 მან. და მე-III კატეგორიის რაიონში—150 მან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ოქტომბრის 19.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 290 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 26-ს.

---

211. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ადგილობრივი ორგანოების მომუშავეთა შტატებისა და ჯამაგირის განაკვეთების დაწესების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ქვემოაღნიშნულ ადგილობრივ ორგანოებში დაწესებულ იქნეს შემდეგი შტატები და ჯამაგირის განაკვეთები:

ა. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებში:

ა) მუშათა და გლეხთა ინსპექციის შტატები

I-ლი კატეგორიის რაიონებში . . . . 2 საშტ. ერთ.
მე-II და III კატ. რაიონ. . . . . 3 „ „

ბ) მუშათა და გლეხთა
ინსპექციის მომუშავეთა
ჯამაგირის განაკვეთები

	I კატეგ. რაიონ.	II კატეგ. რაიონ.	III კატეგ. რაიონ.
თავმჯდომარე (რწმუნებული) . .	160 მან.	180 მან.	200 მან.
ინსპექტორი	110 „	125 „	140 „

ბ. საქალაქო საბჭოებში:

ა) ყველა საქალაქო საბჭოს შტატები, ქვემოაღნიშნულთა
გამოკლებით . . . . . 3 საშტ. ერთ.
ბ) განჯის საქალაქო საბჭოს შტატები . . . . . 4 „ „
გ) ლენინაკანისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოების შტატები . . . . . 5 „ „
დ) ტფილისისა და ბაქოს საქალაქო საბჭოების შტატები
და ჯამაგირის განაკვეთები განისაზღვრება განსაკუთრებული წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. მიენდოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს მოაწყოს ჯულფისა და შავზღვის სანაპირო რკინის გზების მშენებლობასთან სარაიონო მუშათა და გლეხთა ინსპექციები ორი საშტატო ერთეულით თვითეულში და შემდეგი ჯამაგირებით: გამგე—160 მ. და ინსპექტორი—110 მ.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს უზრუნველჰყოს წინამდებარე საბიუჯეტო წელს იმ სარჯთა დაფარვა, რაც დაკავშირებულია ამა დადგენილებიდან გამომდინარე სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შტატების გაფართოებასთან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. დოლიძე.**

1930 წ. ოქტომბრის 20.
ტფილისი.სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 290 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 26-ს.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

212. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო ბიუროს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სასტანდარტიზაციო კომიტეტად გადარქმევის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 14-ის თარიღისა და 126 №-ის დადგენილების შესაცვლელად (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. 21 №-ი, მუხ. 210) „ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო ბიურო" გადარქმეულ იქნეს „ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სასტანდარტიზაციო კომიტეტად".

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ივნისის 20.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 291.

213. „ბამბის მოკრეფის კამპანიის ჩატარების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 28-ის დადგენილების 23 მუხლის შეცვლისა და თვით დადგენილების დამატების შესახებ.

რათა მაქსიმალურად წახალისებულ იქნეს დაბალი ხარისხის ნედლი ბამბის მოკრეფა და მოწესრიგდეს ბამბის დახარისხება მთესველთაგან მიღების დროს, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 23 მუხლი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის აგვისტოს 28-ის დადგენილებისა „ბამბის მოკრეფის კამპანიის ჩატარების შესახებ“ („ზარია ვოსტოკა“-ს 240 №-ი 1930 წ. სექტემბრის 6-სა) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 23. სამებამბეო კოოპერაციის მიერ ბამბის მთესველებთან 1930 წ. მოსავლის ყველა ხარისხის ნედლი ბამბის ჩაბარებისათვის ანგარიშის გასასწორებლად დაწესებულ იქნეს ერთიანი საშუალო ფასი—5 მან. ფუთზე ან 30,5 კაპიკი კილოგრამზე“.

2. წინადადება მიეცეს სამებამბეო კოოპერაციას მოახდინოს ხელახალი ანგარიშის გასწორება ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებამდე მის მიერ მთესველთაგან მიღებული 1930 წლის მოსავლის ნედლი ბამბისათვის—დაწესებული ერთიანი საშუალო ფასის მიხედვით.

3. წინადადება მიეცეს მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში დააწესოს მისაღები ნედლი ბამბის სინოტივისა და დანაგვიანების უკიდურესი ნორმები და დაავალოს სამებამბეო კოოპერაციას—ისეთი ნედლი ბამბის მიღების დროს, რაც დადგენილ ნორმაზე უფრო ნოტიოა და დანაგვიანებული, დააკლოს ფასს ფუთზე 50 კაპიკამდე.

ბამბა საწმენდ ქარხნებსაც უფლება აქვთ მოახდინონ ფასის ასეთი დაკლება სამებამბეო კოოპერაციისაგან ზედმეტად ნოტიო და დანაგვიანებული ნედლი ბამბის მიღების დროს. შეუთანხმებლობას სამებამბეო კოოპერაციასა და ბამბის-საწმენდ ქარხნებს შორის—მონაკლების რაოდენობის თაობაზე—გადაწყვეტენ „ბამბის მოკრეფის კამპანიის ჩატარების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 28-ის დადგენილების 26 მუხლში აღნიშნული კომისიები.

4. ის, ვინც ბოროტი განზრახვით დაანოტიავებს და დაანაგვიანებს ნედლ ბამბას, მიიცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის სითანადო მუხლების თანახმად.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მიანდონ სამებამბეო კოოპერაციას, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და სასოფლო საბჭოებს—ფართოდ აუწყონ ბამბის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთესველთ ერთიანი საშუალო ფასის დაწესება მათ მიერ ჩასაბარებელ ყველა ხარისხის ნედლ ბამბაზე; იმავდროულად ფართო განმარტებითი კამპანია გაშალონ ბამბის მთესველთა შორის იმის თაობაზე, რომ აუცილებლად საჭიროა ბამბა სამჯერ მოიკრიფოს და იგი ჩაბარებულ იქნეს მშრალი და დაუნაგვიანებელი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ოქტომბრის 12.
ტფილისი-სასალე.
გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 277 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 13-ს.

№ 292

214. სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე მომქმედი სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერაციის საადმინისტრაციო-სამმართველობო ხარჯების მოწესრიგების შესახებ.

„სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე მომქმედი სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერაციის საადმინისტრაციო-სამმართველობო ხარჯების მოწესრიგების შესახებ" გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. სექტემბრის 15-ის დადგენილების თანახმად („სსრკ-ის ცენ. აღმ. კ-ტის იზვესტია"-ს 261 №-ი 1930 წ. სექტემბრის 21-სა) და სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე მომქმედი სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერატიული ორგანიზაციების 1930 წლის ოქტომბერ-დეკემბრის კვარტალისა და 1931 წლის საადმინისტრაციო-სამმართველობო ხარჯების თვალსაჩინოდ შემცირების მიზნით—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე მომქმედი, საამიერკავკასიო მნიშვნელობის სახელმწიფო ორგანოების 1930 წლის ოქტომბერ-დეკემბრის კვარტალისა და 1931 წლის საადმინისტრაციო-სამმართველობო ხარჯების შესაბამისად შედგენილი შტატებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცება დაეკისროს ა/კსფსრ-ის იმ სახალხო კომისარიატებს, რომელთა გამგებლობაშიაც ეს სახელმწიფო ორგანოებია.

2. ამიერკავკასიის კოოპერატიული ცენტრების საადმინისტრაციო-სამმართველობო ხარჯების შესაბამისად შედგენილ შტატებსა და ხარჯთაღრიცხვებს დამტკიცებენ ამ ცენტრების გამგეობანი—ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

3. მიენდოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) თვალყური ადევნოს, რათა ამ შტატებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების დროს მაქსიმალურად შემცირებულ იქნეს საადმინისტრაციო-სამმართველობო ხარჯები, რისთვისაც მხედველობაში მიიღოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 25-ის თარიღისა და 266 №-ის დადგენილება (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-14 №-ი, მუხ. 160);

ბ) შეამოწმოს ა/კსფსრ სახალხო კომისარიატებისა და ამიერკავკასიის კოოპერატიული ცენტრების მუშაობა 1930 წლის ოქტომბერ-დეკემბრის კვარტალისა და 1931 წლის საადმინისტრაციო-სამმართველობო ხარჯების შემცირებისათვის;

გ) წარმოუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, არა უგვიანეს 1931 წ. იანვრის 15-სა, მოხსენება შემოწმების შედეგის შესახებ.

4. სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე მომქმედი, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ორგანოებისა და აგრეთვე რესპუბლიკანური და ადგილობრივი კოოპერატიული ორგანიზაციების საადმინისტრაციო-სამმართველობო ხარჯების შესამცირებლად წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—განსაზღვრონ ამ სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საადმინისტრაციო-სამმართველობო ხარჯების შესაბამისად შედგენილი შტატებისა და ხარჯთაღრიცხვების შემცირების წესი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ოქტომბრის 8.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 281 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 17-ს.

---

215. ა/კსფსრ-ის საბჭოთა ორგანოების მუშაობის დისციპლინის შესახებ.

„ა/კსფსრ საბჭოთა ორგანოების მუშობის დისციპლინის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის დეკემბრის 17-ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. 24 №-ი, მუხ. 232) განსავითარებრებლად და დასამატებლად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I

ა. სახალხო კომისარიატთა და ამიერკავკასიის დაწესებულებათა ხელმძღვანელი შედგენილობის განაწილების წესი.

1. ამიერკავკასიის სახალხო კომისარიატების სახალხო კომისრებისა, მათი მოადგილეებისა და ამიერკავკასიის დაწესებულებათა ხელმძღვანელების მრრიგი შვებულება განაწილებულ უნდა იქნეს მთელი წლის განმავლობაში ისეთი ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაუდით, რომ უწყების (დაწესებულების) მეთაურისა და მისი მოადგილის შვებულება ერთისა და იმავე დროს არ მოდიოდეს.

2. სახალხო კომისარს, მის მოადგილეს და დაწესებულების ხელმძღვანელს უწყების (დაწესებულების) მეტად ინტენსიური მუშაობის პერიოდში არ შეიძლება შვებულება მიეცეს.

შენიშვნა. გამონაკლისი შეიძლება მხოლოდ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით.

3. სახალხო კომისართა, მათ მოადგილეთა და ამიერკავკასიის დაწესებულებების ხელმძღვანელთა შვებულების განაწილება მტკიცედ დაკავშირებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მუშაობასთან, რათა შვებულებამ გავლენა არ მოახდინოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების მუშაობის ტემპზე.

4. სახალხო კომისართა, მათ მოადგილეთა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა შვებულება გათვალისწინებულ უნდა იქნეს შვებულებათა განრიგების წლიური საკალენდრო გეგმით, რაც შედგენილი უნდა იყოს უწყების (დაწესებულების) მუშაობის ხასიათისა და აგრეთვე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური სახბჭოს სამუშაოთა გეგმის შესაბამისად; ამ გეგმებს დამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო.

5. შვებულებათა განაწილების ასეთივე საკალენდრო გეგმები შედგენილ უნდა იქნეს თვითეულ სახალხო კომისარიატში (ამიერკავკასიის დაწესებულებაში) აგრეთვე კოლეგიის წევრთა და განყოფილებების გამგეთათვის. ამ გეგმებს ამტკიცებს სახალხო კომისარი ან დაწესებულების ხელმძღვანელი არა უგვიანეს იანვრის 15-სა.

ბ. თათბირთა მოწვევისა და თათბირებზე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებიდან მომუშავეთა გამოწვევის წესი.

6. ამიერკავკასიის ორგანიზაციები თათბირებს იწვევენ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1929 წ. დეკემბრის 14-ს დამტკიცებული წესების თანახმად (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. 24 №-ი, მუხ 231).

7. სახალხო კომისარიატის (ა/კ. დაწესებულების) მიმდინარე მუშაობის საკითხების გამო თათბირის მოწვევა—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებიდან მომუშავეთა გამოწვევით—მოხდება სათანადო სახალხო კომისრის ან დაწესებულების ხელმძღვანელის ნებართვით და მისი პერსონალური პასუხისმგებლობით; თანაც იგი მოვალეა ნება დართოს თათბირის მოწვევა მხოლოდ ნამდვილი საჭიროებისათვის და დაიცვას ხარჯების მაქსიმალური ეკონომია.

8. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ქვემდებარე სამეურნეო ორგანიზაციების მომუშავეთა საამიერკავკასიო თათბირები მოიწვევა ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნებართვით. საერთო-საკავშირო სამეურნეო ორგანიზაციების განყოფილებათა და წარმომადგენლობათა მომუშავეების საამიერკავკასიო თათბირები მოიწვევა იმ სახალხო კომისრის ნებართვით, ვის გამგებლობაშიაც ეს ორგანიზაციებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. მოსკოვში და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების დედაქალაქებში მომუშავეთა ნასვლის წესი.

9. მოსკოვში წარვლინებული ამიერკავკასიისა და რესპუბლიკის მომუშავე მოვალეა მისვლისთანავე, დაუყოვნებლივ, დარეგისტრდეს ა/კსფსრ მუდმივ წარმომადგენლობაში (სსრკ-ის მთავრობასთან) და აცნობობს წარმომადგენლობას მისთვის დაკისრებული მინდობილობის საგანი და წარვლინების ვადა.

შენიშვნა. მინდობილობის შესრულების დროს მოსკოვში წარვლინებული პირი მოვალეა იმოქმედოს სრულის კონტაქტით ამიერკავკასიის წარმომადგენლობასთან, აცნობოს ხოლმე მას მთელი მუშაობის მიმდინარეობა და მიიღოს ხოლმე წარმომადგენლობისაგან საჭირო დირექტივები თანახმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აპრილის 16-ის დადგენილებისა „სსრკ-ის მთავრობასთან მყოფი ა/კსფსრ-ის მუდმივი წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. № 8 №-ი, მუხ. 79).

10. წარვლინების განგრძობა შეუძლიან წარმლინებელ დაწესებულებას, უკეთუ იგი მიიღებს ამიერკავკასიის წარმომადგენლობისაგან ცნობას, რომ წარვლინების განგრძობა მართლადაც საჭიროა.

11. იმ საფეურნო ორგანიზაციების განყოფილებათა და წარმომადგენლობათა მომუშავეების მოსკოვში წარვლინება, რომელთა გამგეობანიც მოსკოვშია, შეიძლება მხოლოდ ამ გამგეობათა ნებართვით.

12. ტფილისში მოსული მომუშავენი მოვალენი არიან დარეგისტრდნენ: ამიერკავკასიის ორგანობის კომპეტენციის საკითხების გამო მოსული მომუშავე—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობაში, ხოლო საქართველოს სსრ რესპუბლიკანური ორგანოების საკითხების გამო მოსული მომუშავე—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობაში.

13. რაიონის მომუშავეთ, რომელნიც უშუალოდ ექვემდებარებიან ქალ. ტფილისში, ბაქოში და ერივანში მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, ამ ქალაქებში მისვლა სამსახურის საქმეების გამო შეუძლიანთ მხოლოდ სათანადო დაწესებულების წინასწარი ნებართვით.

14. ამა დადგენილებით გათვალისწინებული წესების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სადისციპლინო წესით.

II.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაადგინონ შვებულების განაწილების წესი რესპუბლიკანური დაწესებულებების ხელმძღვანელი შედგენილობისათვის ამა დადგენილების „ა“ კარში გათვალისწინებული წესის ანალოგიისამებრ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ოქტომბრის 14.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 293

216. ა/კსფსრ-ში ხრალეული საქსოვი კულტურების მაქსიმალური გაშენებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ა/კსფსრ-ის ნიადაგი და ტაროსი ხელსაყრელ პირობებსა ჰქმნიან, რათა მასსიფრად გაშენებულ იქნეს რამი და კენდირი, რასაც შეუძლიან თვალსაჩინოდ შეასუსტოს საბჭოთა მრეწველობის დამოკიდებულება უცხოეთის ნედლეულისაგან.

შესაფერი პირობებია აგრეთვე სხვა ისეთი ხრალეული კულტურების გასავრცელებლად, რაც იძლევა უფრო სხვილ ბოჭკოს (კენაფი, კანაფი, საბაგირე მცენარე, სელი) და რისგანაც მზადდება უფრო სხვილი ქსოვილი—ტომრებისათვის და აგრეთვე თოკი, შპაგატი და სხვ.. ასეთი ბოჭკო შეიძლება გამოყენებულ იქნეს უცხოეთიდან შემოზიდული ჯუთისა, სიზალისა, მანილლისა და სხვა სხვილი ბოჭკოს ნაცვლად.

ხოლო აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ა/კსფსრ-ში აქამდე ამ საქმეს ძალიან მცირე ყურადღება ჰქონდა მიქცეული.

ამისგამო ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საჭიროდ მიაჩნია, ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ტემპების აჩქარების მიზნით, აგრეთვე საფეიქრო მრეწველობის სანედლეულო ბაზისის გაფართოების მიზნით,—მიღებულ იქნეს ენერგიული და სასწრაფო ღონისძიებანი—ა/კსფსრ-ში ხრალეული საქსოვი კულტურების ფართობის მაქსიმალურად გადიდებისათვის და, ამისდამიხედვით, იგი ადგენს:

1. განსაზღვრულ იქნეს 1931 წელს ხრალეული საქსოვი კულტურების დასათესად საჭირო ფართობი 60.000 ჰექტარით, ნაცვლად 10.000 ჰექტარისა, რაც 1930 წელს იყო, და ნათესი რაიონებზე განაწილდეს შემდეგნაირად:

	რამი	კენდირი	კენაფი ⁊ სხვ. ხრალეული კულტურა	ს უ ლ
აზერბაიჯანის სსრ	500	1.500	19.000	21.000
სომხეთის სსსრ	—	—	9.000	9.000
საქართველოს სსრ	10.000	—	20.000	30.000
სულ ა/კსფსრ-ში .	10.500	1.500	48.000	60.000
	ამ რიცხვიდან საბჭოთა მეურნეობებში:			
აზერბაიჯანის სსრ	500	1.500	2.100	4.100
სომხეთის სსრ	—	—	—	—
საქართველოს სსრ	4.4000	—	4.600	9.000
სულ ა/კსფსრ-ში .	4.900	1.500	6.700	13.100

2. ხალეული კულტურების ფართობის გადიდების ტემპის დასაჩქარებლად და დიდრონი სანედლეულო ბაზისების შესაქმნელად გამოყოფილ იქნეს შემდეგი რაიონები, სადაც ხალეული მცენარეები მძღვანებელ კულტურებად იქნეს მიჩნეული:

ა) აზერბაიჯანის სსრ-ში—ყოფილი ყუბისა და ლენქორანის ოლქები;

ბ) სომხეთის სსრ-ში—ლენინაკანისა, ნორ-ბაიაზეთისა, სტეფანავანისა და ყარაქლისის რაიონები:

გ) საქართველოს სსრ-ში—დასავლეთი საქართველოს დაბლობი ნაწილი—კოლხიდის ხეობით და აგრეთვე აფხაზეთი.

3. მთელი მუშაობა ხალეული კულტურებისათვის თავმოყრილ იქნეს ახალი ხალეული კულტურების სრულიად საკავშირო სახელმწიფო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილების გამგებლობაში, რომელსაც დაეკისროს ამ საქმის ხელმძღვანელობა და პასუხისმგებლობა მისი სათანადოდ მოწყობისა და შესრულებისათვის, კერძოდ—დათესვისა, მოკრეფისა და პირველადი დამუშავებისათვის, აგრეთვე ხალეული ბოჭკოს სამრეწველოდ გამოყენებისათვის.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, ახალი ხალეული კულტურების სრულიად საკავშირო სახელმწიფო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებასთან შეთანხმებით, შეადგინონ ერთი დეკადის ვადაზე ფართობების რაიონებზე, წყლის სისტემებზე, საბჭოთა მეურნეობებზე და მთესველებზე განაწილების გეგმა და მიაწვდინონ ეს გეგმა სოფლამდე და კომლამდე;

ბ) დაავალონ იმ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, რომელთა ტერიტორიაზედაც არის ან განზრახულია აღნიშნული კულტურების თესვა—ახალი ხალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილების წარმომადგენლებთან, რაიონის ჰიდრო-ტეხნიკოსებთან, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასთან და კოლექტიურ მეურნეობების ცენტრთან ერთად,—გაანაწილონ თესვის გეგმები სოფლებზე, კოლექტიურ მეურნეობებზე და ინდივიდუალურ მეურნეობებზე.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—მიიღოს ღონისძიებანი ამ ფართობების პირველ რიგში მოხვნისათვის სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და სატრაქტორო კოლონების მიერ საბამზე ფართობების თანაბრად.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—ერთი დეკადის ვადაზე შეუდგენენ ხალეული კულტურების გაშენების 1931 წლის ამოცანის რეალიზაციას, ჩაატარონ ზედმიწევნითი რიგისტრაცია მთესველებისა და დაიწყონ თესვის გეგმების შედგენა.

7. რადგანაც კენდირისა, კენფისა და სხვა ხალეული საქსოვი კულტურების გაშენება დამოკიდებულია საზაფხულო წყლის თავის დროზე და სათანადოდ გამოყენებაზე, წინადადება მიეცეს ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის სამმართ-

ველოს იხმაროს ღონისძიება აღნიშნული კულტურებისათვის წყლის გამოყენების წესის დასამყარებლად ბამბის თანაბრად იმ რაიონებში, სადაც ბამბაც მოდის და ხსენებული კულტურებიც.

8. რადგანაც საჭიროა, რომ მალე იქნეს მიღებული ეფექტი ხრალეული კულტურების შთანერგვისა და ამასთანავე ტეხნიკურად მიზანშეწონილია და განსახორციელებელიც 1931 წელს რიონის მარჯვენა ნაპირზე ცალკეული ნაკვეთების გამოყენება დაშრობის გამარტივებული ვარიანტის შეფარდებით,—საჭიროდ იქნეს ცნობილი მაქსიმალური დაჩქარება დამშრობ სამუშაოთა წარმოებისა ცივა-ტეხურისა, აბაშა-ნოგელისა და ნარიონალის ნაკვეთებზე და ეს სამუშაოები დაკავშირებულ იქნეს კოლხიდის დაბლობის დაშრობის გენერალურ გეგმასთან.

ამისდამიხედვით:

ა) წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიანდოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს:

1) იხმაროს ღონისძიება, რაც უზრუნველჰყოფს შემდეგ მელიორირებულ ფართობთა გამოსვლას ჭალადიდის მასსივზე: 1931 წელს—6.000 ჰექტ.—მაისის 1-დე, 10.000 ჰექტ.—სექტემბრის 1-დე და 2.000 ჰექტ.—1932 წლის იანვრის 1-მდე, ხოლო ცივა-ტეხურის მასსივზე 1931 წ. მაისის 1-დე—1.500 ჰექტ. და იმავე წლის სექტემბრის 1-დე—3.000 ჰექტარისა;

2) წინა პუნქტში აღნიშნული მიწების თავის დროზე გამოსვლის უზრუნველსაყოფად შეადგინოს ცივა-ტეხურისა, აბაშა-ნოგელისა და ნარიონალის ნაკვეთების დაშრობის გამარტივებული ვარიანტის სამუშაო პროექტი და ხარჯთაღრიცხვა და ამ სამუშაოთა სასწრაფოდ შესრულების საკალენდრო გეგმა; პროექტის შედგენის ვადა—1 თვე;

ბ) რადგანაც მიზანშეწონილია იმ სამი წისქვილის მოშლა, რაც მდინარე ცივაზეა, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—მიანდოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—წარუდგინოს მას დასამტკიცებლად, მოსაშლელი წისქვილების ნაცვლად, მექანიზირებული წისქვილის აშენებისათვის საჭირო პროექტი და ხარჯთაღრიცხვა;

პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის წარდგენის ვადა—ორი დეკადა;

წისქვილების მოშლის ვადა—ორი თვე;

ყველა ხარჯი, რაც საჭიროა წისქვილების მოსაშლელად, მექანიზირებული წისქვილის პროექტის შესადგენად და თვით წისქვილის ასაშენებლად, მიეწეროს ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებას;

გ) წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ამიერკავკასიის საკოლმეურნეო-კოოპერატიულ ბანკს,—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შემდეგ,—შეიტანონ 1930 წ. ოქტომბერ-დეკემბრის განსაკუთრებული კვარტალის საკრედიტო გეგმაში მექანიზირებული წისქვილის ასაშენებლად საჭირო სახსარი;

დ) ზემოაღნიშნული ნაკვეთების დამშრობ სამუშაოთათვის უშუალო ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად იქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეს ცნობილი, რათა კოლხიდის დაბლობის დამშრობი სამმართველო გადაყვანილ იქნეს სამუშაოთა ადგილას და გაძლიერებულ იქნეს იგი საინჟენერო-სატეხნიკო ძალებით;

ე) ზემოაღნიშნულ დამშრობ სამუშაოთა მაქსიმალური მექანიზაციისათვის წინადადება მიეცეს ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს—დაავალოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს და აზერბაიჯანის სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს შეადგინონ განცხადებები საჭირო მანქანებისა და იარაღის შესახებ (გრაგჩია ტრაქტორები, ექსკავატორები, სკრეპერები და სხვა საშუალებანი სამუშაოთა მექანიზაციისათვის);

ვ) წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს იხმაროს ღონისძიება საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს და ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილების განცხადებათა სავსებით დასაკმაყოფილებლად საჭირო მუშა-ძალის შესახებ.

10. წინადადება მიეცეს ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებას დააწესოს ფართობთა კონტრაქტაციისათვის გრძელვადიანი ხელშეკრულებების დადება საბჭოთა მეურნეობებსა და მათ ახლო მდებარე კოლექტიურ მეურნეობებსა და სოფლებს შორის, აგრეთვე საჭირო ავანსების გაცემის სისტემა წყალთა მეურნეობის გაუმჯობესებისა და მელიორაციისათვის.

11. დადასტურებულ იქნეს მეთოდი ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილების ა/კსფსრ-ში მუშაობისა აგროინდუსტრიალური კომბინატების ბაზისზე მისი მოქმედების ძირითად რაიონებში.

12. ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილების თავის დროზე უზრუნველსაყოფად მიწის ფონდით წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გაშალოს სათანადო სამიწათმოწყობო სამუშაოები და უზრუნველჰყოს აღნიშნული ტრესტისათვის შემდეგი ფართობების მიკუთვნება.

აზერბაიჯანის სსრ ში:

ა) ამხ. ნარიმანოვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის (ყოფილ ყუბის ოლქში) ფართობი 1931 წ. მაისის 1-თვის მიღწეულ იქნეს 5.000 ჰექტარამდე ამ რაიონის საბოლოო მიწათმოწყობის წესით;

ბ) სამურის რაიონში გამოყოფილ იქნეს 1931 წ. მაისის 1-თვის ხუდათ-კუსარისა და ყუბა-დერბენტის გზატკეცილების რაიონში 3.000 ჰექტარამდე საბჭოთა მეურნეობის მოსაწყობად და 1931 წლის ბოლოსთვის, მიწათმოწყობის წესით, ამ საბჭოთა მეურნეობის მასსივი მიღწეულ იქნეს 8.000 ჰექტარამდე;

გ) ყოფილ ყუბის ოლქშივე, ზღვის სანაპირო საბჭოთა მეურნეობის მოსაწყობად, 1931 წ. აპრილის 1-თვის გამოყოფილ იქნეს 2.000 ჰექტარამდე, იმ პირობით, რომ 1930 წ. ნოემბრის 1-თვის ამ ფართობიდან, მიწათმიჩენის წესით, საბჭოთა მეურნეობას გადაეცეს არა ნაკლებ 800 ჰექტარისა;

1931 წლის ბოლოსთვის აღნიშნული საბჭოთა მეურნეობის ფართობი, მიწათმოწყობის წესით, მიღწეულ იქნეს 5.000 ჰექტარამდე, ხოლო 1932 წ. გაზაფხულისათვის—7.500 ჰექტარამდე;

დ) ლენქორანის საბჭოთა მეურნეობას (ყოფ. ლენქორანის ოლქში) 1931 წ. მაისის 1-თვის გადაეცეს, მიწათმოწყობის წესით, 2.000 ჰექტარი—ამ მიწებზე საჭირო გადასახლებისა და განსახლების ღონისძიებათა განხორციელებით;

ე) ასტარის საბჭოთა მეურნეობას (ყოფილ ლენქორანის ოლქში), არა უგვიანეს 1931 წ. იანვრის 1-სა, გადაეცეს სახელმწიფო ფონდის მიწებიდან მთლიან მასსივად 2.000 ჰექტარი;

ვ) ნოვოგოლოვსკის საბჭოთა მეურნეობას—ასტრახან-ბაზარის რაიონში—არა უგვიანეს 1931 წ. ნოემბრის 1-სა, გადაეცეს ყოფილი სახელმწიფო ფონდის მიწებიდან 1.000 ჰექტარი.

სომხეთის სსრ-ში:

სელის წარმოების ძირითად რაიონებში, სახელდობრ: ლენინაკანისა, სტეფანავანისა, ყარაქლისისა და ნორ ბაიაზეთის რაიონებში ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებას, არა უგვიანეს ა/წ. დეკემბრის 2-სა, გადაეცეს 200-დან 500 ჰექტარამდე სათესლე ბაზისებისა, საჩვენებელი მინდვრებისა და პირველადი დამუშავების პუნქტების შესაქმნელად.

ამავდროულად გამორკვეულ იქნეს სომხეთში და გადაეცეს ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებას 1931 წ. მარტის 1-თვის 2.000-დან 5.000 ჰექტარამდე მიწა მთლიან მასსივად საბჭოთა მეურნეობის მოსაწყობად.

საქართველოს სსრ-ში:

ა) ზუგდიდის რაიონში—რიყეს ნაკვეთზე—დამთავრებულ იქნეს, არა უგვიანეს 1930 წ. ნოემბრის 1-სა, სრული მიწათმოწყობა და გადაეცეს ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებას მდინარე ინგურის ქვემო ტერასაზე 300 ჰექტარი;

1931 წ. მაისის 1-თვის დამთავრებულ იქნეს მიწათმოწყობა საშუალო ტერასაზე 900—1200 ჰექტარის ფართობზე; ამ ვადისათვის დამთავრებულ უნდა იქნეს სრულად ყველა ის ღონისძიება, რაც საჭიროა ამ ფართობის გამოსაყოფად;

ბ) დარჩელში გადაეცეს, მთლიანი მიწათმოწყობის წესით, 1931 წ. იანვრის 1-თვის, მთლიან მასსივად—2.000 ჰექტარი, საიდანაც არა ნაკლებ 1.000 ჰექტარისა უნდა იყოს თავისუფალი და სასოფლო-სამეურნეოდ გამოყენებისათვის ვარგისი 1931 წ. აპრილის 1-თვის;

1932 წ. გაზაფხულისათვის დამატებით გადაეცეს 500 ჰექტარი, ხოლო იმავე წლის შემოდგომისათვის დანარჩენი 1.500 ჰექტარი;

გ) ცივა-ტეხურის რაიონში (სენაკის რაიონი) ნაწილობრივ მიწათმოწყობილ იქნეს 1931 წ. იანვრის 1-თვის 4.000 ჰექტარი,—აქედან 2.000 ჰექტარი—არა უგვიანეს 1930 წ. ნოემბრის 1-სა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ჭალადიდის აგარაკში 1931 წ. მაისის 1-თვის დამთავრებულ იქნეს სრული მიწათმოწყობა მთელი 18.000 ჰექტარის მასსივისა და ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებას გამოეყოს მთლიან მასსივად 10.000 ჰექტარი, რაც თავისუფალი უნდა იყოს საგლეხო მიწათსარგებლობისაგან; ამ რაოდენობიდან 1930 წ. ნოემბრის 1-თვის უნდა გადაეცეს არა ნაკლებ 4.000 ჰექტარისა;

მიენდოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—წინადადება მისცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს აკრძალოს ჭალადიდის აგარაკში მიწების მიჩენა სხვა ორგანიზაციებისათვის, გარდა ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებისა;

ე) ყარაგაზში (ალაზნის არხის ბოლო), არა უგვიანეს 1931 წ. ნოემბრის 1-სა, 12.000 ჰექტარის საერთო მასსივიდან გადაეცეს ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებას 3.000 ჰექტარამდე საბჭოთა მეურნეობის მოსაწყობად.

13. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს განახორციელონ შიდამეურნეობრივი მიწათმოწყობა ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილების საბჭოთა ყველა მეურნეობაში და ეს შეტანონ 1931 წლის პირველი რიგის სამუშაოთა გეგმაში; თანაც, არა უგვიანეს ა/წ. დეკემბრის 1-სა, შეუთანხმდენ ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებას ამ ღონისძიების განხორციელების ვადებისა და პირობების შესახებ.

ყველა ის ხარჯი, რაც დასჭირდება მიწების მიჩენისათვის საჭირო სამუშაოებს, მიეწეროს ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებას, ხოლო ის სამუშაოები, რაც დაკავშირებულია საგლეხო შრომითი მიწათსარგებლობისკენ გარდაქმნასთან, განხორციელებულ იქნეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული საგადასახლებო სახსარით და ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილების ხარჯზე ამ უკანასკნელისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების შეთანხმებისამებრ.

14. აგროკომბინატების თავის დროზე მოწყობის უზრუნველყოფის მიზნით წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს სასწრაფო წესით ჩაატარონ ხრალეული კულტურებისათვის მისაჩენ ძირითად რაიონებში მთლიანი მიწათმოწყობა ისეთი ვარაუდით, რომ ხრალეულ კულტურებს დაეთმოს რაც შეიძლება დიდი ფართობი დიდრონ-დიდრონ მასსივებად.

15. წინადადება მიეცეს ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებას, ამიერკავკასიის კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს და ამიერკავკასის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირს შექმნან, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურ-

ნეობების კომბინატების ბაზისზე, ოპტიმალური პირობები კოლექტივიზაციის პროცესის მაქსიმალურად გაძლიერებისათვის საბჭოთა მეურნეობების მდებარეობის რაიონებში—მოკლევადიანი და გრძელვადიანი დაკრედიტების ფართო შეფარდებით, ტეხნიკური მომსახურეობის გაწევით, სამელიორაციოდ სესხის მიცემით, საგზაო და საკულტურო მშენებლობით და სხვა საორგანიზაციო ღონისძიების განხორციელებით.

16. რადგანაც მალარიას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ისეთ ფაქტორს, რომელიც ძირს უთხრის აღნიშნული რაიონების მოსახლეობის კეთილდღეობას და რადგანაც საკმარისი არ არის ის ღონისძიებანი მალარიასთან ბრძოლისა, რაც აქამდე ხორციელდებოდა, წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს, ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამერკავკასიის განყოფილებასთან ერთად, შეიმუშაონ, საკონტროლო ციფრების საფუძველზე, საბჭოთა მეურნეობების მდებარეობის რაიონების გასაჯანსაღებლად საჭირო სამუშაოთა გეგმები და ხარჯთაღრიცხვები და გაითვალისწინონ ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამერკავკასიის განყოფილების მონაწილეობა ამ ხარჯებში.

17. უნდა აღინიშნოს მეტის-მეტად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა კენაფის პირველადი დამუშავების საქმისა, რის გამოც ყოველწლიურად იღუპება ღეროები, ბოჭკოს გამოსავალი მცირეა და დაბალი ღირსებისა; ამისდამიხედვით წინადადება მეიცეს ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამერკავკასიის განყოფილებას იხმაროს სასწრაფო ღონისძიება პირველადი გადამუშავების პროცესების მექანიზაციისა და 1930 წლის მოსავლის სრულიად გადამუშავებისათვის; თანაც გაითვალისწინოს 1931 წ. მშენებლობის გეგმებში მოსავლის 100%-ით გადამუშავება.

18. რადგანაც ხრალეული კულტურები—ახალი საქმეა და უაღრესი მნიშვნელობა აქვს მათ ფართოდ და სასწრაფოდ შთანერგვას სოფლის მეურნეობის ბრუნვაში,—საჭიროდ იქნეს ცნობილი:

ა) რათა ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამერკავკასიის განყოფილებამ, ამერკავკასიის კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრმა და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა გააფართოონ სამეცნიერო-საკვლევი და საცდელი სამუშაოები; ამასთანავე, დაავალოს ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამერკავკასიის განყოფილებას მოაწყოს თავის საბჭოთა მეურნეობებში საჩვენებელი ნაკვეთები და ნათესები;

ბ) დაავალოს ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამერკავკასიის განყოფილებას და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მაქსიმალურად გააფართოონ აგროტეხნიკური ღონისძიებანი და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კოლექტიურ მეურნეობებს და—პირველ რიგში—ახლო მდებარე საბჭოთა მეურნეობებს.

19. რადგანაც ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო გაწყობილობა საკმარისი არ არის, ეთხოვოს სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააძლიეროს ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილების სატრაქტორო პარკი.

20. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაავალოს ტრაქტორცენტრის ამიერკავკასიის განყოფილებას პირველ რიგში შეასრულოს ხოლმე ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილების დავალებანი დაკონტრაქტებულ ფართობებზე.

21. რადგანაც ა/კსფსრ-ის სხვადასხვა ადგილას ფართოდ გავრცელებულია ხუჭუჭა და გრძელბოჭკოიანი სელი, უმთავრესად—სომხეთში და საქართველოში (ახალქალაქის რაიონი), დაეკალოს ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებას იხმაროს ღონისძიება საოთესლე ბაზისისა და აგრეთვე საცდელ-საჩვენებელი პუნქტების შესაქმნელად ღეროების ბოჭკოდ გადამუშავებისათვის პირველად სახით; ამავდროულად მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება იმ გარემოებას, შესაძლებელია თუ არა სელის თესვა როგორც საშემოდგომო კულტურისა.

22. ხრალეული კულტურების საბჭოთა მეურნეობებისა და მთესველების სამრეწველო და სასურსათო საქონლით მომარაგების საქმის გასაუმჯობესებლად—საჭიროდ იქნეს ცნობილი აღნიშნული საბჭოთა მეურნეობებისა და მთესველების მომარაგება სამრეწველო და სასურსათო საქონლით მებამბეობისათვის დაწესებული ნორმების თანახმად.

მიეცდოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს აღძრას სსრკ-ის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წინაშე საკითხი ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებისათვის ცენტრალიზებული წესით საქონლის კონტიგენტის გამოყოფის შესახებ.

23. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირს და ამიერკავკასიის კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს თვალყური ადევნონ სისტემატიურად ხრალეული კულტურების მთესველებისა და საბჭოთა მეურნეობების სამრეწველო და სასურსათო საქონლით მომარაგების გეგმის აღსრულებას, ხოლო ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირმა უნდა იხმაროს საქონლ. ღონისძიება სამომხმარებლო კოოპერაციის ქვედა ქსელის ნორმალური მომსახურეობისათვის შესაგუებლად.

24. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, საწარმოო საშუალებებით სოფლის მეურნეობის მომმარაგებელ ამიერკავკასიის შერეულ საკაკი საზოგადოებას და ამიერკავკასიის მომარაგებისა და ვაჭრობის სახელმწიფო ორგანოს იხმარონ სათანადო ღონისძიებანი ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილების საბჭოთა მეურნეობების უზრუნველსაყოფად საშენი მასალით, ავტოტრანსპორტით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით და იარაღით და მომარაგების მხრით აღნიშნული საბჭოთა მეურნეობანი გაუთანასწორონ საბჭოთა სამამბე მეურნეობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. რადგანაც აგრონომიული და ტეხნიკური პერსონალი საკმარისი არ არის და თანაც ხრალული კულტურების საქმე ახალია და შეუსწავლელი, განსაკუთრებით—პირველადად გადამუშავების სფეროში, საჭიროდ იქნეს ცნობილი:

ა) რათა სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო ინსტიტუტის შედგენილობაში მოეწყოს ხრალული კულტურების განყოფილება, ყველა სტუდენტი მიმაგრებუხდეს იქნეს ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებაზე და დაეგალოს ამ უკანასკნელს უზრუნველჰყოს სტუდენტები როგორც საწარმოო პრაქტიკით თავის კომბინატებსა და ქარხნებში, ისე სტიპენდიებით საამისოდ მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) დაეგალოს ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებას და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს იხმარონ სასწრაფო ღონისძიებანი, რათა 1931 წელს ყველა იმ ტეხნიკუმში, რომელიც ტრესტის მასსიური მუშაობის რაიონებშია, მოეწყოს ხრალეული კულტურების განყოფილება; ამასთანავე, ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებამ უნდა უზრუნველჰყოს მოსწავლენი საწარმოო პრაქტიკით და სტიპენდიებით—ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან განსაკუთრებული შეთანხმებისამებრ.

26. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მიამაგრონ ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებაზე და კოლეტიურ მეურნეობათა ცენტრებზე იმ უმაღლესი სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების კურს-დამთავრებულთა კონტინგენტი, რომელნიც ხრალეული კულტურების გავრცელების რაიონებშია.

27. ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილება უნდა შეუთანხმდეს ამიერკავკასიის კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს, მთავარი სამეგამბეო კომიტეტის ამიერკავკასიის განყოფილებას და ამიერკავკასიის სასოფლო სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირს—მისთვის კურსანტების განსაზღვრული რიცხვის გამოყოფის თაობაზე აღნიშნული ორგანიზაციების მიერ, „ა/კსფსრ-ში მეგამბეობის განვითარების 1930-31 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. სექტემბრის 15-ის დადგენილების თანახმად (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-17 №-ი, მუხ. 184), მოსაწყობ კურსებზე ტრაქტორისტებისა, აგრონომიერსონალისა და მექანიკოსებისათვის სახელდობრ—არა ნაკლებ 100 ტრაქტორისტისა, 200 მესაქონისა და 200 ისეთი პირისა, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო მანქანების ხმარებას სწავლობენ.

ყველა საამისო ხარჯი დაეკისროს ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებას.

28. ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებამ უნდა იხმაროს ღონისძიება ა/კსფსრ-თვის 50 ადგილის უზრუნველსაყოფად იმ კურსებზე, რასაც ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტი აწყობს მოსკოვში 1930/31 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა იზრუნოს კურსანტების სასწრაფო დაკომპლექტებისათვის სათანადოდ მომზადებულ კვალიფიციურ მუშათა და კოლმეურნეთაგან მოსკოვში წარსაგზავნად აღნიშნულ კურსებზე—ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებასთან შეთანხმებულ ვადაზე.

კურსანტების წარვლინებისა და სწავლებისათვის საჭირო ყველა ხარჯი დაეკისროს ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებას.

29. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა მიაქციოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების ყურადღება იმ გარემოებას, თუ რა უაღრესი მნიშვნელობა აქვს კენაფისა, კენდირისა და რამის ღეროებისა და თესლის მოკრეფისა და ფართობთა კონტრაქტაციის კამპანიის 1930/31 წელს.

30. პასუხისმგებლობა ამა დადგენილების შესრულებისათვის დაეკისროს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ახალი ხრალეული კულტურების სრულიად საკავშირო ტრესტის რწმუნებულს ა/კსფსრ ში და სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ოქტომბრის 14.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 296 №-ში 1930 წ. ნოემბრის 1-ს.

№ 294.

217. 1930 წლის მოსავლის ბამბის რეალიზაციის უზრუნველმყოფი დამატებითი ღონისძიებების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს: ა) 1930 წ. აგვისტოს 28-ის თარიღისა და 275 №-ის დადგენილებისა („1930-31 წელს ბამბის მოკრეფის კამპანიის ჩატარების შესახებ“—ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-17 №-ი, მუხ. 182), ბ) 1930 წ. სექტემბრის 13-ის თარიღისა და 280 №-ის დადგენილებისა („იმ მებამბეთა შესახებ, რომელთაც არ დათესეს ბამბა ბოროტი განზრახვით, იმ მებამბეთა შესახებ, რომელთაც არ შეასრულეს საკონტრაქტაციო ვალდებულებანი, და იმ მებამბეთა დაპრემირების შესახებ, რომელთაც შეასრულეს საკონტრაქტაციო ვალდებულებანი“—ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-17 №-ი, მუხ. 186) და გ) 1930 წ. სექტემბრის 24-ს დადგენილების („ბამბის ადგილობრივ დატო-

ვების წინაღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“) დასამატებლად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს მთავარი სამებამბეო კომიტეტის ამერკავკასიის განყოფილებას და სამებამბეო კოოპერაციას დაამთავრონ ნედლი ბამბის მთელი მოსავლის შესყიდვა ა/კსფსრ-ში არა უგვიანეს 1931 წლის იანვრის 1-სა.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გამოსცენ დადგენილებანი, რომლებითაც კულაკურ მეურნეობათ დაევალებათ ჩაბარონ ბამბის მთელი მოსავალი არა უგვიანეს 1930 წ. დეკემბრის 30-სა, და დააწესონ გადასახდელთა ღონისძიებანი ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის.

3. დაეევალოს სამებამბეო კოოპერაციას დაბრუნოს სრულად მისთვის ბამბის საკონტრაქტაციოდ მიცემული სახსარი იმ პირობით, რომ მან სავსებით გადაახდევინოს, არა უგვიანეს 1931 წ. იანვრის 1-სა, მის მიერ საკონტრაქტაციოდ გაცემული ავანსები.

4. დაეგალოს სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის კანტორას ერთი თვის ვადაზე წარმოუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზედმიწევნითი ცნობები სამებამბეო კოოპერაციის მიერ სახელმწიფო ბანკისაგან მიღებული სახსარის არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ დახარჯვის შესახებ და კანონიერ პასუხისმგებლობაში მისცეს ასეთი ხარჯების გამწევნი.

5. უკეთუ გამორკვეულ იქნება, რომ სამებამბეო კოოპერაციას არასისწორით დაუხარჯავს საკონტრაქტაციო კრედიტი (მაგალითად, კაპიტალური სამუშაოების წარმოებაზე და სხვ.), წინადადება მიეცეს სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის კონტორას დაუყოვნებლივ დაჰფაროს ეს თანხა იმ ასიგნებით, რაც კოოპერაციას ერგება.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს,—უკეთუ სამებამბეო კოოპერაციას არ მიუღია საშენი მასალა, სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სპეციალური განწესების მიხედვით, ნედლი ბამბის შესანახად დაწუებული პახთა-სარაიებისა, ჩარდახებისა და სხვა შენობების დასამთავრებლად,—იხმარონ ყოველი ღონისძიება საშენი მასალითა კოოპერაციის მოსამარაგებლად სხვა მომხმარებელთათვის განკუთვნილი მასალიდან; ამასთანავე, დაავალონ კოოპერაციას აუნაზღაუროს სხვა მომხმარებელთ ეს მიღებული საშენი მასალა თავისი განწესიდან.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ოქტომბრის 14.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 288 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 24-ს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 295.

218. ა/კსფსრ-ში ხე-ტყისა და შეშის დამზადების გეგმების შესრულების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს იხმარონ ყოველი ღონისძიება, რათა განსაზღვრულ ვადებზე შესრულებულ იქნეს შეშისა და ხე-ტყის დამზადებისათვის დანიშნული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული რწმუნებულის მიერ დამტკიცებული ხეტყისა და შეშის დამზადების სამუშაოთა გეგმები.

2. მიიქცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ გეგმის მაქსიმალურად შესრულებისათვის საჭიროა გამოყენებულ იქნეს ყველა ის უფლება, რაც მათ მინიჭებული აქვთ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 3-ის დადგენილებით „ხე-ტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტვირთვების სამუშაოების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-13 №-ი, მუხ. 147).

3. დაევალოს ხე-ტყისა და შეშის დამმზადებელ ყველა ორგანიზაციას მიიღოს უცილობელი აღსრულებისათვის ხე-ტყისა და შეშის დასამზადებლად დანიშნული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული რწმუნებულის დადგენილებები და ბრძანებები და დაუყოვნებლივ გაშალოს მაქსიმალურ ფარგლებში შეშის დამზადებისა და გამოტანის საქმე.

4. წინადადება მიეცეს ხეტყისა და შეშის დამმზადებელ ყველა ორგანიზაციას დაამყარონ კავშირი კოლექტიურ მეურნეობებთან და იმ ორგანიზაციებთან, ვის გამგეობაშიაც ხარ-ცხენიანი კოლონნებია ადგილებზე, რათა ხეტყისა და შეშის დამზადებისათვის გამოყენებულ იქნეს მათი ცოცხალი საწევი ძალა მინდვრის მუშაობისაგან თავისუფალ დროს.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დაიწესოს საქონლის გაცემა ხე-ტყისა და შეშის დამზადებისა და გამოტანისათვის 10%-ის რაოდენობით.

6. დაევალოს ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირს:

ა) დაუყოვნებლივ მოაწყოს და მოაგვაროს ხე-ტყისა და შეშის დამმზადებელი მუშების სისტემატიური მომარაგება საკვები პროდუქტებით, რისთვისაც დამზადებათა რაიონებში მოაწყოს ვაჭრობის ქსელი და სათანადო შემთხვევაში გამოიყენოს მოძრავი სავაჭრო პუნქტები;

ბ) იხმაროს ღონისძიება ხე-ტყისა და შეშის დასამზადებლად გამოსაყენებელი ჟანაზნიდვის ტრანსპორტის საჭირო ფურაჟით, თვლების საპოხით და საჭელი რკინით მომარაგებისათვის.

7. დაევალოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის კანტორას იხმარონ ყოველი ღონისძიება, რათა უზრუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველყოფილ იქნეს ხე-ტყისა და შეშის დასამზადებლად საჭირო ფულადი თანხების თავის დროზე გაცემა, რისთვისაც ანგარიშში მიიღონ ა/კსფარ სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო დადგენილებანი.

8. მიენდოს ა/კსფარ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს დააწესონ სადეკადო მეთვალყურეობა ხე-ტყისა და შეშის დამზადების დამტკიცებული გეგმების შესრულების მსვლელობისათვის.

ხე-ტყის და შეშის დამზადებისათვის დანიშნულმა განსაკუთრებულმა რწმუნებულმა თვალყური უნდა ადევნოს ხე-ტყისა და შეშის დამზადების გეგმის შესრულების მსვლელობას მთლად ა/კსფარ-ში.

9. ხის სათბობი მასალის ეკონომიისათვის, რადგანაც საამისო რესურსები მცირეა, ამიერკავკასიის რკინის გზის მოთხოვნილება შეშისადმი წინამდგომარე ზამთარში განისაზღვროს იმ რესურსებით, რაც მის ხელთაა და წინადადება მიეცეს მას დანარჩენი თავისი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს ქვანახშირის ბრიკეტებით.

10. წინადადება მიეცეს ხე-ტყისა და შეშის დამზადებისთვის დანიშნულ ა/კსფარ სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებულს შექმნას სარეზერვო შეშის ფონდი იმ განცხადებათა უზრუნველსაყოფად, რაც გათვალისწინებული არ არის მომხმარებელთა საერთო გეგმაში.

11. წინადადება მიეცეს ხე-ტყისა და შეშის დამზადებისათვის დანიშნული ა/კსფარ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებულ რწმუნებულს—მიიღოს, არა უგვიანეს 1930 წ. ნოემბრის 1-სა, ა/კსფარ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისაგან საშეშე სათბობი ბალანსები 1930-31 ზამთრისათვის და არა უგვიანეს 1930 წ. დეკემბრის 1-სა შემოიტანოს, ამიერკავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მეშვეობით, ა/კსფარ სახალხო კომისართა საბჭოში დასამტკიცებლად შეშის მომარაგებისა და დამზადების ჯუმლობითი გეგმა ცალკეულ დამზადებელთა და დამზადების რაიონების აღნიშნით.

12. მიენდოს ა/კსფარ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს ერთი დეკადის ვადაზე გამოჰყონ სპეციალური რწმუნებულნი ხე-ტყისა და შეშის დამზადებისათვის.

ა/კსფარ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯულელი.**

ა/კსფარ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ოქტომბრის 19.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 288 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 24-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 296.

219. ა/კსფსრ-ში საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩასატარებლად დანიშნული განსაკუთრებული რწმუნებულის მოადგილის დანიშვნის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა/კსფსრ-ში საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩასატარებლად დანიშნული განსაკუთრებული რწმუნებულის ამხ. ს. ჯუღელის მოადგილედ დანიშნულ იქნეს ამხ. ჰეიდარ ვეზიროვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ოქტომბრის 18.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 288 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 24-ს.

№ 297.

220. საწარმოთა და დაწესებულებათა შეუწყვეტელ წარმოებაზე გადასაყვანად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსებული მთავრობის კომისიის გაუქმების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს საწარმოთა და დაწესებულებათა შეუწყვეტელ წარმოებაზე გადასაყვანად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსებული მთავრობის კომისია.

2. ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის გაწევა შემდეგში შეუწყვეტელი საწარმოო კვირის განხორციელებისათვის დაეკისროს ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს.

3. ამა დადგენილების გამოცემისთანავე გაუქმებულ იქნეს:

ა) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 4-ის დადგენილება „ა/კსფსრ საწარმოთა და დაწესებულებათა შეუწყვეტელ წარმოებაზე გადაყვანის შესახებ" (ა/კსფსრ კან. კრ. მე-19 №-ი, მუხ. 179);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 15-ის დადგენილება „ა/კსფსრ სამრეწველო საწარმოთა შეუწყვეტელ წარმოებითს კვირაზე გადაყვანისათვის დაარსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-17 №-ი, მუხ. 145).

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეუთანხმონ ამა დადგენილებას თავიანთი კანონმდებლობა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ბ. ბანოვიჩი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 293 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 29-ს.

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა.
მთავლ. № 2291. ტირაჟი 1.400